

6991

# ԱՐԵՎԱՏՅԱՆ


ԱՆՁՈՒԹՅՈՒՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ  
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ



1916



ՏԵՂՄԱՆ, № 7.



ԱՐԵՎԱՏՅԱՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ



# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

„ნაკადულის“ ხელის მომწერთ ვსთხოვთ, ვისაც 2 მანე-  
თის მეტი არა აქვს შემოტანილი, გამოგზავნოს დანარჩენი ფული,  
თორემ შემდეგი ნომრები აღარ გაევავნება. ქალალდის სიძი-  
რის გამო იბეჭდება სწორედ იმდენი ნომერი, რამდენიც ხე-  
ლის მომწერი არის და ამიტომ ვთხოვთ, ვისაც სურს, რომ  
„ნაკადული“ მისდომდეს, ფულის გამოგზავნას ნულარ და-  
გვიანებს, რათა საკმაო ნომრები დაიბეჭდოს.

3  
3  
3  
**ԱՀԱՅԱԴՅԵՂ**



ՀՕԼՈՎԵՐ ԶԵՐ

No 5.

1916 թ.



† սժուկով ցըլով 1873—1916 թ.

297

## შინაარსი

I—იროდიონ ევლოშვილი,—სურათი.....	1
II—იოროდიონ ევლოშვილი .....	3
III—ნატერა,—დაუბეჭდავი ლექსი ა. ევდომევიანის.....	9
IV—იროდიონ ევლოშვილი და მისი პოეზია,—დ. კასრაძის...	12
V—გაზაფხული,—ლექსი ვ. რეზაძის .....	22
VI—მოგონებანი. I—მწყემსობა,—გამრიცელ გოგუაძის..	28
VII—გაზაფხულდა,—ლექსი დ. ელიოზაშვილის .....	31
VIII—ჩიისმენის ხელმწიფის და მისი შეილის ჯიმუშიერის არაკი,—სამეცნიერო ჩიწერილი ზღაპარი თას. ეთემშვიდის-შეკვეთი.....	32
IX—ჩვენი სამუშაოების წყლები,—მდინარე ქსანი, ა. ხეციაშვილისა .....	43
X—სამკურნალო ხელოვნება და სახელგანთქმული მკურნალები, (წერილი მეოთხე, დასასრული), —ივ. როსტომშვილის .....	49
XI—გასართობი,—შარალები და რეპუსის აღსნა .....	64



## იროდიონ ეგდოშვილი

2 მაისს დილით მოულოდნელად გამოიცა ელია საყვარელი მგოსანი იროდიონ ევლოშვილი. რუმცა ავერა-  
 მოდენიმე წელიწადი საშინელი სენით—ჰელიოს—იყო შეპა-  
 რობილი, თუმცა ყველამ იკის, რომ ვისაც ჩატარდა. თავზე  
 ულმობელ ცივ ბრჭყალებს ეს საშინელი სენი, ძელიად  
 თუ ვინმე დააღწევს თავს, მაგრამ მანც არაფის არ უნდოდა  
 იმის დაჯერება, რომ იროდიონიც მისი მსხვერპლი გახდებო-  
 და. არ უნდოდა დაჯერება, რადგანც არც დიდს. არც პატა-  
 რას არ ემეტებოდა სასიკედილოდ მშრომელთა მომლერალი,  
 დარიბ-ჩაგრულთა ქომიგი და ბავშვთა გულითადი მეგობარი,  
 მოსიყვარულე, მწრთვნელი იროდიონი. ის ამიტომ იყო  
 მოულოდნელი მისი სამუდამოდ გამოსალმება.

იროდიონის ნამდვილი გვარი ხოსიტაშვილი იყო, მაგრამ მწერები და ლობაში ის გამოიყოს ინდიდა გვარით გამოვიდა. დაირქვა ევლოშვილი, რადგანაც მის დედის ევლო ერქვა, და რადგანაც იროდიონს თავისი დედის დიდი სიყვარული ჰქონდა. იროდიონი იხდა 43 წლისა იყო. უკანასკნელი წლები იყალმყოფობაში გაატარა და მაშინადამე ტანჯვაში. მას უიზიკურ ტანჯვაშე კიდევ უფრო სტანჯავდა ის, რომ იმ შეეძლო ისე მუშაობა, როგორც უწინ, ან შეეძ-



იროდიონ ევლოშვილი შეუძლია

ლო წერა, ნამეტნაფად ამ ბოლო დროს; სწუბდა, რომ ვერ სწერდა ბავშვებისათვის მოთხოვებსა და ლექსებს, რაც მისი ირსების წრფელ მოთხოვლების შეაღვენდა.

ქართველ ხალხს მწვავედ მოხვდა გულში მისი გარდაცვალების ამბავი და აატირა ამ დანაკლისმა, მაგრამ განსაკუთრებით მისი დაკარგვა დააკლდა ბავშვებს. დააკლდა, იმიტომ რომ ისეთი მოსიყვარულე, ბავშვის გულის მესაიდუმლე ბევრი როდია ჩვენში. „ნაკადუ- იროდიონი რუსეთში ყოფნის დროს.



ლის<sup>4</sup> მკითხველებმა იციან, როგორი სხივისანი პირების მიერ უყვარდა მას ყველა ბავშვი, ვინც უნდა ყოფილყო



დედა მართა ეკლეშვილისა.

ის: ღარიბი თუ მდიდარი, მუშა თუ მოსწავლე, ობოლი  
თუ მშობლებიანი. მათი სიხარულით ხარობდა, მათი მწუხა-  
რებით დარდობდა.



იროდიონი დაასაფლავეს 8 მთხვე დიდუბეში, განვითარებულ მწერლის მოღვაწეთა პანთეონში, ბავშვების მეორე დიდებულ მწერლის ვაჟა-ფშაველას გვერდით. აუარებელი ხ. ლხი მისდევდა მის



3.8

შვილები იროდიონ ევდოშვილისა:

ვანო, თამარ, ბერა, თონა და დიმიტრელი ფარნაობს.

ცხედარს, რომელსაც მიასევნებდნენ ქვაშვეოს ეკლესიიდან დიდუბემდის ხელით, ყვავილებით შემკულ საკაცეთი. ბევრი



მეტანობისარე სიტყვები წარმოსთვეებს სხვადასხვა საზოგადოებრივი განვითარების გარემონტის მიზანით, კავშირთა წარმომადგენლებმა. იუარებელი



ఎల్. వ్రిడాశ్విగుల్క ను ప్రాంతిక్యసామాన్ లో తెలుగు భాషాభిమానాన్.

დეპერა და სამიმრის წერილები მოვიდა და მოდის, არა თუ საქართველოს ყოველი კუთხიდან, შორეულ რუსეთიდან,

Արդյունքում պահպանվելու համար առաջին առաջարկը կազմվել է 1990 թվականի մայիսի 2-ին ՀՀ Ազգային ժողովում և այնուհետո առաջարկը հաջորդ օր պահպանվել է ՀՀ Ազգային ժողովում՝ առաջարկադիր պատճենաբառությամբ:

ლარიბი იყო იროვიონი ქონებით, ლარიბად ცხოვრობდა, მაგრამ ამავე დროს მდიდარი იყო ის მაღლიერი ხალხის სიყვარულით. ამ უკანასკნელ წლებში, ავადმყოფობის დროს, როდესაც ხალხმა იგრძნო, რომ ჰეკარგვედა იროვიონს, პატ-რონობა გაუწიო ავადმყოფს, აძლევდა შეძლებას წასულიყო საექიმოდ აბასთუმანს, სოხუმს, მაგრამ შემწეობა დაგვიინებული გამოდგა, და იროვიონ გამოვეცალა ხელიდან. მიცვალებულს თან გაატანა მაღლიერმა ერმა ცრემლები მწუხარებისა და სინანულისა, რომ დროზე ვერ დადგა დარაჯად და მიუშვა მასთან საშინელი მტერი—სენი, რომელიც ისე დაურიცებლად და უწყალოდ შედის ლარიბ ოჯახში და ირჩევს მეტად ინტენსიურებულ სისტემას.

იროდიონს დარჩი მეუღლე და ოთხი პატარა შვილი.  
არაფერი, სრულიად არაფერი არ დაუტოვა მან თავის ხიყა-  
რელ ქვირფას არსებათ, გარდა სამშობლოს და მშობლიური  
ხალხის მისდამი წრფელი, ცხოველ-მკოფელი ხიყარულისა.  
მაგრამ განა ეს საქმო არ არის? ამ სიმღიღრეს რომელი სიმღი-  
ღრე შეეღრება?





## Ե Ա Ծ Ո Յ Ր Ա<sup>1)</sup>



Խալ վլուս լամց տենքընձ,  
Երևանի ածառնությանց մամալու:  
Տոլուս շահագություն հյժոն  
Կոստանդնուպոլիս մամալու!

Մագրամ առ եճոնաց եռցելուս:  
Տողու զրության տողեցւա.  
Խան կը գույնու, Խանաց լուսունու  
Մուրու զորաց տողլոնցւա.

Կը ամլու լաս մորչլունցնձ;  
Ցուխարևաց մուսլիմունց;  
Բին մուսլիմուց ծերուսա,  
Առլու ոմաս մուսլիմունց.

<sup>1)</sup> Ա լայնու չեր արևալ առ գամեյքուլա.



მომიღლოცნია! — დასძახის  
ჩონგურს, ყველასთვის გულითა;  
ღმერთო, შენც გამადლიერე  
ხარ-კამეჩ-მინდორ ხნულითა!

ღმერთო, მიცოცხლე ცოლ-შეილი,  
მოყვარე, მძაბლის მძახალი:  
ყველიმ ჩიცუეს ახალ-წელს  
ჩოხა და კაბა ახალი.

ნათლიდედამაც დაზარდის  
შემოდგომისთვის დედლები;  
ნათლიმამისთვის ქვეყრებში  
ნუნუს შეგევედრები!

ღმერთო და ბედო სოფლისავ,  
რაც კირი გადაგეხდენია, —  
გვაკმარე, ნულა გვიჩვენებ,  
თორე ატანა ძნელია!

ცოტა რამეს გთხოვ, მისმინე:  
ჩემს ეზოსა და კარებზი  
გზირს, მამახახლისს, ბოჭოულს  
მოაშლევინე თარეში.

ერთ რამეს კიდევ გავტედავ,  
გასაბედად კი ძნელია:  
„ფოჭტი“ ფულებზე „ჩინოვნის“  
აალებინე ხელია!

კიდევ სულ ცოტას ვისურვებ:  
მომე ტუე-მინდორ-ველია, —  
ვხნავდე, ვთესავდე, ვბარავდე,  
არ დამიჭირონ ხელია.

ଦେଲ୍ଲେଣି କେରିତ ଅନ୍ଦେଖିବେ,  
 ଗୁଣି ସମ୍ବିଳିତୁଳିତା;  
 ତୁ ଯେ କରିବେ କ୍ଷେତ୍ରକା,  
 କାଳ ମିନଦା କିମ୍ବା ଫୁଲିତା?

ଦେଲ୍ଲେଣି କେରିତି କିଲେଇ ଗାଵଦେଇବ:  
 ଗୋଗୀ କାନ ଶେମିକିରିନା;—  
 କାବା ମିପିଲ୍ଲେ, ମିପିଲ୍ଲେ,  
 ଏହ ମିନଦା ଦେଲ୍ଲେଣି-ଦେଲ୍ଲେନା!

କିମ୍ଭେନି କାଥେ ବିଶ୍ଵାସ,  
 କାମ ଶେଷୁଶରୁଲାଳ କାନ୍ଦିଲି,  
 ଦେଇନିଶିରି, ଦେଇଗୁରୁଗୁନି,  
 ଦେଇମାରିତି ଯାଇ ଶାନ୍ତିଲି!

ଲମ୍ବରିତି ଦା ଦେଇବ ବେଶିଲିବା,  
 ଦେଇପଥେର୍ବର୍ଜ କରିବିର୍ବଜ ବେଶିଲିତା,  
 କିମ୍ବି କିନ୍ତୁ କିନ୍ତୁ କିନ୍ତୁ କିନ୍ତୁ  
 ତାଙ୍କିଲ କାନ୍ଦିଲି କିରିତା!

o. କୃତ୍ତିମିକାଳି.





ოთ. ევლოშენილი სამხედრო სამსახურის დროს. იგი რეს-იაპონის თაში იყო  
გარჩეული. სერიოზ გადაღვებულია მცველებისთვის.

## იორდიონ ევლოშენილი და მისი პოეზია



ი, ერთი კიდევ აუნაზღაურებელი დანაკლისი! ჩვენი  
მწერლობის ისედაც მცირე რაზმს ჩამოვშორდა ერ-  
თი ოფიციალისინო ძალაც, შეიძლება ერთი უდიდესი  
მცველისანი, რომელიც დიდმა ილიამ, იყავიმ და ვარა  
შემცველრედ დაგვიტოვეს. ხომ გიოგონეთ ი. ევლო-  
შენილის სიკვდილის ამბავი? ეჭ, მწარე საქართველოს ბედი,  
მწარე და დამაფიქრებელი. ი. ევლოშენილი, როგორც იცით,  
დიდი ხანია ქართველი ერი დასტრიიალებდა თავს, გეხსომებათ  
სიც, რაოდენი მზრუნველობა გამოიჩინა: არ დარჩენილა

ქალაქი, სოფელი, რომ მის განკურნებისთვის წარმოუყოფილია გაელოს, თანავრძნობა არ გამოეტადებინოს. თქვენც, ჩემთვის პატარებო, ბევრჯელ ცხარე ცრემლებით გითხოვნიათ განგებისათვის მისი სსნა, მაგრამ ბევრმა ტიალმა და ულმობელმა თვით თქვენი უმანქო ცრემლებიც არ შეიწყნარა, ი. ევლოშვილი მოგვტაცა და დაგვაობდა.

რატომ დაიტირა მოელმა საქართველომ ი. ევლოშვილი? რატომ ჰერუნიედა დიდი და პატარა, ღარიბი და მდიდარი ი. ევლოშვილის განკურნებისთვის? რატომ და იმიტომ, რომ იგი ყველას ეკუთვნოდა, ყველის გულის მესილუმლედ გამოდიოდა. ოჟ., რომ იკოტე, როგორი ძნელია ამ დიად თილისმის ხელში ჩაგდება! აღამიანთა გულის მესილუმლეობა - ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, ეს იმ რჩეულთა ხვედრია, რომელთა გამოჩენაზე მეტად და მეტად ძუნწობს ბუნება, ანუ განგება. და ი. ევლოშვილიც, როგორც ასეთი, ყველას ერთვეარად ჩასწედა გულში. გლეხი და მუშა, საზოგადოდ შეჩრომელი ხალხი, დიდი და პატარა — ყველი მის პოეზიაში ჰქედავს სიცოცხლის აუტანელობას. მისი პოეზია ყველასთვის სანუკვარ სარკედ გადაიქცა, რომელშიაც მოსჩანდა არა თუ აწმყოს საშინელი და აუტანელი მდგომარეობა, არამედ ისიც, თუ როგორ და რა გზით დაეხწიათ თავი ასეთს მდგომარეობისთვის, როგორ განთავისუფლებულიყვნენ! განთავისუფლება! ოჟ., დიდი, ძალიან დიდი რამ შემეცნება აღამიანთა ცხოვრებაში.

ახლა მყითხეთ, რად გახდა ი. ევლოშვილი ხალხის მესილუმლედ. სწორედ ამ კითხვის მოველოდი თქვენგან. ყოველი სიბრძნის წყარო მოელათ იმ წრეშია, სადაც ამ სიბრძნის პატარებელი დაიბადა. ი. ევლოშვილი ღარიბთა წრეს ეკუთვნის. მისი ნამდვილი გვარი ხოსიტაშვილია. დაიბადა სოფ. ბოდბისხევში, 1873 წ. მამა მისი ამავე სოფლის ეკლესიის მთავარი იყო. ეს არც ისე დიდი და შემოსავლიანი რამ ხელობაა, რომ წერილშვილის პატრონის მის შამას იროვნონის-

267353-1

თვის კარგი ოლქოდა და განათლება მიეცა. ი. ევლიშვილის  
მასწავლებელი უმთავრესად ბუნება იყო, ხალხი, ის წრე, სადაც  
ტრიალებდა, კითანაც უფრო იხლოს იყო. მას წესიერი და  
თანდათანობითი წერტილი სკოლის კედლებში პასუხში მოხვ-  
ლადე არც კი მიუღია. მას გხედავთ პანსიონში, ხან სამო-  
ქალაქო სასწავლებელში, ხან სასულიეროში, ხან სამხედრო-  
ში. პირად ცხოვრების პირობებიც დაუდგრომელია. ევლო-  
შვილს მოხელეს, ევლოშვილს უადგილოდ მოხეტიალეს, ევ-  
ლოშვილს მხედარს, ევლოშვილს ეურნალისტს, ევლოშვილს  
მეოსანს... თი რა სახეებით ვხედავთ მას ცხოვრებაში გამოს-  
ელისას. უკანასკნელი გზა ეურნალისტობა და მეოსანობა მი-  
სი ხვედრია სიკეტილამდე. მეოსანი სწორედ ამ სახელით  
კვდება...

უნდა იკოდეთ, ჩემი პატარებო, რომ ჩვენი ქვეყანა, საქართველო, მეტად და მეტად პატარი ქვეყანაა, რომ კალ-  
მის ანაბარად საშუალოდ მაინც იცხოვროს აღამიანშა. ი.  
ევლოშვილმაც თავის მწერლობით ვერ დაიდგა არა თუ  
სასახლე, უბრალო ქოხიც-კი, რომ თავისუფლად და მოს-  
ვენებით ჩესძლებოდა მუშაობა. ღარიბი იყო და ღარიბიდ  
მიდიოდა მისი ცხოვრება. მიტომაც ღარიბთა და გაქირევ-  
ბულთა ცხოვრების მეტად გარკევევით აულო ილლო. მისი პირ-  
ველი ხნის ლექსები სულ მათ გაქირვებას ავეირებს. ყოველ-  
თვის ჰკვენების, თითქმის არა ისეთი ლექსი, რომელსაც ასე-  
თის ამოკვენებით არ ათავებდეს:

„**აბე**, ტახისავ, სოფელი,  
კროხედ მაძღუნე ტებილადა“.

၁၆ ပြေ အပေါ်

“କୁଳ ଦାମ୍ଭକାରୀଙ୍କ ପୂର୍ବପତା ମୁକ୍ତିଦାରୀ,  
ଏହିକୁ ଦେଖିଲେ କେବଳାଙ୍ଗେ ମୁକ୍ତିଦାରୀଙ୍କ ପଦିନ୍ଦୀ”?

ხომ გაიღონეთ „შეტყველთა კვნესა გულს მიგმირაესთ“! დაუგდეთ ყური, შეისმინეთ, ეს უბრალო სიტყვის თანაზი



როდია: „შეტყველთა კვნესა“... ეს ისე თვალსაჩინო ცერტიფიციანი თია ადამიანთა ცხოვრებაში, მაგრამ მის დასანახად ზაგანგი- ბოდ უნდა მოვმართოთ თვალი და ყური, თორებ ადვილი ხაქმე როდია მზგვის „კვნესის“ მოსმენა. ადამიანთა ყურიც, თვალიც, გულიც და სულიც საუკუნეთა განმავლობაში შეე- ჩენია სიგულქვევეს და ევდოშვილისთანა მამხილებელი მგო- სანი ანუ წინასწარმეტყველია საჭირო, რომ დავინახოთ, რომ თვალი იგვეხსნას, ყურმაც შესძლოს მოსახმენის მოსმენა. ამ, ერთი უდიდესი ღირსება ევდოშვილისა ესეც გახლავთ, რომ გათვითცნობიერებულმა საქართველომ წრფელი გულით დაი- რირა იგი, როგორც ერთი საუკეთესო მხილებელთაგანი, რო- გორც ძველი წინასწარმეტყველი!

ი. ევდოშვილი მარტო ერთი მხილებრთ როდი კმაყ- ფილდება. როგორც მშრომელი ხალხის მეცობარი, იგი უმ- თავრესად მათ დასტურიალებს თავს, სცლილობს ვააგბინოს, თუ საიდან მოდის მათი ტანჯვის ნიაღვარი, სცლილობს მკრე- ლი სიტყვებრთ განუმარტოს, რომ ამ გაჭირვებისა და ტან- ჯვის მიზეზი თვითონ ისაა და მისი დაუდევრობა. მეტი არ იქნება, თუ იცით, გავისენოთ, და თუ არ იცით,—მიიგოთითოთ მის მეტად თვალსაჩინო ლექსზე, რომლის განეპირება, ვგო- ნებ, ყველასთვის სივალდებულო უნდა იყოს, ვისაც უყვარს შრომა. ვისაც შრომა დაუფასებია, ვისაც ხალხის ტანჯვა გულთან ახლოს მიუტანია. ი ეს ლიმაზი ლექსიც:

„რას შესტექ, მსათ, ფანჯარაში მდიდრის ქულავას? არა ჰეგვს განა კინგად ქრეულს შენს ქვედს ფარავას? შენ გააბერე, შენ შესტენი, მსათ, უც ფარჩა, მაგრამ რათაც მანქანებით შენ კა არ დაგრჩა! ის სხვაშ წაიღო, შენ გარგუნა ეგ კანკას ქვედა! ას რად ჰედება?—ჰეთხე მაინც შენს თავს კრისკედა“!

ხომ ხედივთ, რა სიღაა, რა შირტიერი სურათია! ყველა- ფერი ის სიმდიდრე, ძვირფასი ფარჩეული, ეს ხევერდის ქულა-



ჯა შექმნა მუშამ, მაგრამ მოხდა საოცრება, მისი გაკეთებული მას ვერ შეჩინა. ჰო და „რად ხდება ასე“? ის საკითხი, რაზეც უთითებს ევდომევილი. საუკუნოები მიქერის, სიმდიდრის შექმნა ეკისრება „კონკად ქცეულ ფარავის“ ანაბარად დატოვებულ შშრომელთ და მაინც შით, სწყურიათ, მაშინ როდესაც ისინი, ვინც არას აკეთებენ, განცხრობაში არიან. ჰო და „რად ხდება ასე“? ის ის საკითხი, რომელის აუცილებელ გარკვევის მოითხოვს ევდომევილი, რომ სიმართლე დამყარდეს ქვეყნიერებაზე, ეს ის სიმართლე, რომელმაც ბეღნიერება უნდა დათხოს ადამიანთა შორის!

თუ ევდომევილი შშრომელ ხალხს დასტირის თავზე, მათი უბედობის გამოსწორების ანდომებს თავის საკუთარ ძალანებს, სამიგიროდ პატარათა შორის, უკეთ, თქვენს შორის სცდილობს ამ შშრომელთა ბავშვების ყოფა-ცხოვრების სურათები გაღმოგიშალოთ, დაგაიჭიროთ, შეგაყვაროთ ტანჯულთა ბეღი, გამოზარდოს და ააყვავილოს სათნება თქვენი ფაქიზი სულისა, რომ გახდეთ ადამიანები, ამ სიტყვის უკეთილშობილესი შნიშვნელობით და არა მეტყველ პირუტყვებად! ომ, გოროზ და ბოროტ ადამიანებს, ვისაც არ ძალუძთ შეიგნონ სხვათა ტანჯვა, დიალაცი, რომ მეტყველი პირუტყვის შეტი არა ეწოდებათ რა! და ის, რომ ასეთი სამარცხევინო მომავალი აეყიდინებინა თქვენთვის, ჩემო პატარებო, ევდომევილი გომლეროდათ პატარა და სანუკეარ ლექსებს, სადაც შოისშოდა ნაღვლიანი ხმები, სევდა და კაეშნიანი მელოდიები. არ გაგასხნებთ ყველას ერთად, თქვენ საყვარელ „ნაკადულის“ ფურულებიდან ბევრი რამ მოგაიონ დებათ „ქრისტი ლელეს“ სახით, ანუ „კიკოთ“, ან და „ბეღურას ცრემლებით“, რომელსაც ზამთრის გამო პურის მარცვალი ვერ უმოვნია და შიმშილით მოსთვევამს თავის ბეღს. ის ესეც:

„ეს გაზაფხული დამბაზო, ზაფხული ზურმუხტისათ,  
შენ, შობისინე ბაღაზო, სიმღერავ დიდი ტფასათ,



ეროვნული

სადა ხარ, სადა, ნეტავი, გული მიკვება დარდითა, პრიზის მისადაც  
დაქნალებითხდი მას შემდებ, რაზ გეღარ გხებავ თვალითა.

რა კქნა, რა წევდში ჩაგარდე, მინდორში გახმა ბალახა,  
არც ბადი, აღარც თავთავი, არც ჭია ხეზე ნანახი.

ფერდი ფერდის მიცემს შამბალით, დონე მოდად გამომეული,  
დამესტ ერთს სახლში ვათენებ, ქერი აქეს ძევდის ძევდია.

ჭრი რომ დაშეგრავს ზუზუნით, ენვა დამივდის გეღარია,  
რა კქნა, არა მაქეს ნაბადა, კერ გავეხევი ქურქშია.

დილით მოდად დამუხტებული მიგეხადმები ქათმებია,  
ღმურთის უშევდოთ კეთილდებს, იმათთან გვენგვა მარცვლებია.

მაგრამ „ჰაი-ქმა, ჰაი-ქმა!.. დაგვიხტებს მათი გადა,  
შეცეცეთ, იცნობით ვეღანია, ბებური არის, ცხადა.

კადოთაში ქათმის საბენე, ხედში კა ვაფარფენია,  
და თუ აჟარი მარცვალი, ეს გეღარ მოუთმენა!

ასე სხითდა ბეღურა, ტრუმეუბი გადმოსდითდა,  
ღობეზე ამომუზულის საწეალს სცადა, ჰშიოდა!

ეს პატარა სურათი საკმარისია იმის გასაგებად, თუ რას  
ასწივლიდა პატარებს ევდოშვილი. თქვენს წრეშიც, ხომ ჰე-  
დავთ, როგორ ალივებს სიყვარულს გიკირებულთათვის!  
ბეღურას ცრემლები იგივე ტანჯვაა დაჩიგრული ხალხისა, ბე-  
ღურას დაჩივლება თქვენ ლარიბ ამხანაგების — მშრომელთა  
მოთქმა-გოდებაა, და ამიტომაც იგავის სახით შეეხო მგოსანი  
თქვენი გულის სათუთ გრძნობებს, სათუთ სულს, რომ მო-  
მავალში ირ დაივიწყოთ ეს ტანჯული ხალხი, რომელსაც  
დიდი ღეაწლი მიუძლეის თქვენს პირად ბეღნიერებაში.

აი, კიდევ თეალსაჩინო ლექსი. „ნაკადულიდანვე“ გე-  
ცოდინებათ „ახალ წლის მილოცვა“:

„ახალი წევდაწადა ახალი სახარელისა,  
სუფრა მიშდა — რა სუფრა, ახასი კვავიდებისა,



მთდით, შეწვეუთ ბავშვებთ, და მაქტე კარი სახლიმანის მარიამისა.

ვარც უნდა იუგეთ, სწორებთ, ჩუსტებითა თუ ჭადმითა,  
უკედას მიგიდებთ, ბენატვათ, ერთგული სიყვარულითა.  
მაშ ჩემსკენ, ჩემთ წყვულნა, ჭირიშეთ თქმენი სედისა,  
ჩემთ პარა სტუმრებთ, კვავილნა ჩემის გულისა.

ბომ გოგონეთ, რომ იქაც ევლოშვილი სწორედ იმათ  
იწვევს, „გისაც არ სწყალობს ოლერსი სიყვარულისა“! ეინ  
არიან მეტე ასეთები? რა თქმა უნდა, „ჩუსტიანი და ქალმ-  
ნებიანი“, ეს იგივე ტანჯული და ღარიბ-ღარის შეილები. ეს  
ნორჩი „კვავილნი“ ჩვენი მგოსნის სპეციაჟი სულისა.

მგოსანი ევლოშვილი ამ უზომო სიყვარულისთვის პირად  
უბედურობას იტეხავს თავზე, მას ასეთი სიმღერებისთვის პირს  
უკრავენ, ატუსაღებენ და რუსეთში ასახლებენ, ციცხა და ყი-  
ნულიან ქვეყანაში, სადაც მგოსნის სუსტმა ბუნებამ ვერ აი-  
ტანა გისაკირი, ქლექით ავად გახდა, და მხოლოდ რამდენი-  
მე წლის ტანჯვა წამების შემდეგ გამოისტუმრეს სამშობ-  
ლოში, როდესაც იგი ჩვენ ილარ გვეკუთვნოდა და უკვე სი-  
კოცხლითვე დასამარებულად უნდა გვვულებოდა. ტუსალო-  
ბისა და გადასხლების ღროს მგოსანი ევლოშვილის სევდა  
მეტად მძიმე შეიქმნა. იგი პშვიოთვდა. მისი სევდა, ტანჯულ  
ხალხისგან გამოწვეული, გაიზარდა, მოელ ქვეყანას გადაეფა-  
რა. მას უყვარს სამშობლო, უყვარს და ენატრება თავისი ქვე-  
ყანა, თავისი ალაზანი, შორიდან სწუხს და სულით და გუ-  
ლით მოილტვის მშობლიურ ალაზნისაკენ. მეტე რაა ალა-  
ზანი მისთვის? რად უყვარს ასე რიგად? ყური დაუგდეთ, მგო-  
სანი თვითვე გეტყვით ამის პასუხს: „რად მიყვარს ალაზანი“?

### რად მიყვარს ალაზანი

„რად მიყვარს ალაზანი, შორიდან ეტრეთა შორის მო-  
დულუნე, ჩიყოლებული ერთის მხრივ აქრელებულის ველით,



მეორეს მხრივ კი ატეხილი ჭილით, სიიდამაც მის გადამდებული ჩიყურება ტოტებ-დაშვებული მტირილა ტირიფი, მკვლავებ-გაშლილი რცხილა და მუხა ამაყი, წასული შორს, მაღლა ცისაკენ?

რად მიყვარს ალაზანი, რომელსაც თავს გადმოსცერის მწვერვალ-გათეთრებული და კალთებ-დაზურმუხტებული მთა გომბორისა, მთა კავკასიისა?

ალაზანი, რომელსაც დილით გრილი სიო ჩამოსდევს ხოლმე მთებიდან, წყნარი ნიავი ეჩურჩულება მის მობუტბუტი ტალღებს, ციდან ისარივით დაშვებული მერცხალი სცემს თავის თეთრ გულს; დოლა-ადრიან ჭალიდან გამომხტარი კურდლელი ეთამაშება მის კიდეს და ჟელმოლერებული ხოხობი იხანს ჭიქორის კეკლუკ პატარძალივით მის პაწია ტოტში, რომელიც კარჩლებში შეკპარვია ჭილის.

მხიარულია დილით, მხიარულია ხალამოთი, ხოლო შეუდღისას კი, თითქოს მოლლილი მგზავრიაო, გაჩუმებული ვერხების ჩრდილში, გაუტვრენია სული და მიღის, მიიზღაუნება ქვევით დინჯალ, აუჩქარებლად. იმ დროს ჭალიდან დაპლულენებს ქვდანი და სიცხისაგან შეწუხებული გვრიტი შესჩივის მზის უდიერობის.

დიალ, ასეთია ალაზანი, და მიყვარს, მიყვარს გულითა და სულით, როგორც ჭველი მეგობარი, რომელთანაც მირბენია, მითამაშნია!

და ეს მართლაც ასეა. ის ხომ იმ მთების შეილია, ხადაც მეც დაიიბადე; მან ხომ იმ მთებში აიდგა ფქხი, რომელთა კალთებზედაც თვით მეც გაფიზარდე. ის ხომ შეა გასწოლია იმ ველსა და ჭალას, რომელთაც მე უხიარებდი ჩემ სიხარულს, რომელთაც მე შევჩინდი ჩემ დარღებს!

დიალ, მე და ის ერთის მშობლის შეილები ვართ—ერთის სამშობლოსი, მისის ძუძუთი გაზღილება, და ამიტომ მიყვარს ასე ჩემი ალაზანი!



და აღაზანი ხომ ცურმლია იმ უდიდესი მშობელისა, არა მელსაც საქართველო ჰქვიან. ყველა ამის დაკარგვა ხომ სიკუდილია სიცოცხლითვე<sup>49</sup>?

და აი, ჩვენი მგოსანი მთელ რიგ ლექსებში ასეთი სიკუდილით აგვიწერს ჩვენ სამშობლოს.

დიდი ადამიანი დაკარგეთ ქართველებმა ევლოშვილის სახით. სამწუხარო სწორედ ის არის, რომ ცლექშა და სიკუდილმა მოუსწრო სწორედ დავატკაცებისას, როდესაც ძლიერი სული და მკვეთრი კალამი ბევრს რამეს გვპირდებოდა გასამხნევებლად, მაგრამ ეს ბევრი რამე საიდუმლოდ წარილო თანა!..

დ. კარაძე.





## გაზაფხული




აზაფხულის ნაში ხელი  
გაშლილ მთა-ბარს ავეირისტებს  
და სიცოცხლის ნექტარს ასმევს  
აკოჭრებულ ფოთოლ-კვირტებს!

აქ ია ჰეეთქვს, იქ ყაყაჩო,  
იფურჩიქნება ზამბაბ-ვარდი...  
მარგალიტებს მოაპყურებს  
ცა უძირო, ცა ლაუფარდი!

ქორწილი აქვს დღეს ბუნებას,  
ხელთ უპყრია შვების თასი:  
ძმადეთ მშე ჰყავს, დადეთ — მთვარე,  
მაყრიონად — ფრინველთ დასი!

ჰანგი ჰანგს სცელის, ტაში ტაშა,  
ნაზად როკავს დედოფალი...  
ვიშ, ბუნება! შენი ცქერით  
როგორ გაძლეს კაცის თეალი!


გ. რესაძე.





## მოგონებანი

სამართლის კულტურული და მდგრადი კულტურული წევა შემარტინი.



შევემთხავა.

ოცა ზაფხული დადგა და მეც შვიდი  
წელი შემისრულდა, მამამ გამომიცვა-  
ლა მონიღობილი საქმე: თიკნების მწყემ-  
სეა შებლობელ ტყეებში ჩემ უმცროს დას  
ჩაბარია, მე კი ხარები გამატანა სამწყე-  
საფიდ სუფსის<sup>1)</sup> კალებში და ყოველ დი-  
ლით მაბარებდა: — კარგად აბალიხე, გა-

სისინებული მოყვანე სალაშოს... ისე შინ არ მოხვიდეო!

ძალიან დაღონებული ვიყავი. თიკნების მწყემსეის დროს  
ამხანაგები ბლომად მყავდა, დღეებსაც მხიარულად ვატარებდი:  
ბურთობა, კენჭოა, ყიჩალობა, უპუ—მალია—ყველა ამნიორ  
თამაშობაში ვერავინ შემედრებოდა, პირველი მე ვიყავი. ხში-  
რად შევრეკავდით ხოლმე პატარი ჯოგს ბნელ ტყის სილრმე-  
ში და იქ დავეძებდით მოცეს, წითელ-თავა სოკოებს, აედიო-  
დ-თ მაღალ ხეებზე. კმლეროდით, დავხტოდით და ვგორაო-  
ბდით ხმელი ფოთლების ბუმბულში; ვაჯავრებდით ფრინვე-  
ლებს და ვწიოდით სხეა და სხვა ხმაზე, ვკიოდით ტურები-  
ვით, და იუწერელ შიში მოგვყავდა თიკნები. თუ მოგვინ-  
დებოდა რამე „პირის გასასცელებელი“, ამისაც ბლომად ეპოუ-  
ლობდით: ტყის პირად ყანები იყო, და იქ დავეძებდით კი-

<sup>1)</sup> მჭინარეა გურიაში.



ტრებს, რა თქმა უნდა—დიდი სიფრთხილით, რომ პატიჟის ან დავენისეთ.

უველი ეს მაგონდებოდა ტრიალ მინდორზე, სადაც დილიდან საღამომდე უნდა მეხეტრიალი ციფი მეოდის ნატეხის შემზედვიარე. თუმცა დილით დედა მექადთან ერთად უველის პაწაწერინა ნაკერსაც მხდლევდა და მახარებდა: „მიალოკე-მოალოკე და პირიქით ეყავიო“, მაგრამ მე მაინც არაფერი მჩქე-ბოდა სადილისთვის. სხვა არა დამტკიცნოდა რა,—უნდა შევრი-გებოდი ახალ მცველმარეობას. ბშირად ვტიროდი, სუფსის პირზე შედომარე, ვიხედებოდი სოფლისაკენ, რომელიც მოს-ჩანდა ხეებით ლამაზად შექოჩილ გორაკზე.

თვალით დასანახავადაც შემძულდა ხარები — წიქარა და შევგულა, და ზოგჯერ კიდევაც ვიყრიდი ხოლმე იმათზე და-გუბებულ ჯავრს: ხან ჭვას შევსტუორუნიდი და მოვარტყამ-დი რქაზე, ხან ვაგინებდი და ვსწუყევლიდი:

— მეტად გაეხირო ტყავი ორივეს... მიწა კამეთ, მიწა!

მაგრამ ხარებს არაფრიად მიაჩნდათ ჩემი კრულვა-ვინება, გაუმაძლრად ბოჭავდნენ ამაღლებულ, ახავერდებულ ბალას, არხეინად იქნევდნენ კუდებს, ხან ცალი თვალით შემომხე-დავდნენ და, თითქო დამცინიანო, ფშვინავდნენ.

— კი, აბა რა... თქვენ რა გიქირთ... მე კი ციფი მე-დი უნდა ვლაყონ... ხრო შევაჯდა ზურგზე, ხრო,— განვაგ-რძობდი წყველის.

საღამოს, როცა ზაფხულის შეე, შევი ზღვისაკენ ჩაი-დული, ვარდისფერ დოლბანდს აქსოვდა საივებით მწვანე ტყეს, და, მაშისადამე, სიხლში წასელის დროც დგებოდა, მაშინ ცოტა მოთხებოდა ჩემი გული: ხარებს ილარ ვლანძლავდი, პირიქით, ვეალერსებოდი, ვაქებდი, რომ დღეს კარგიდ გაძლ-ნენ, კკუით მოიქცნენ, სხვის ყანაში არ გამექცნენ და იმით აშორეს ჩემ ზურგს მამის წკეცელი; თუ იმათ აჩნდათ ზურ-გზე ჩემი ჯოხის ზოლები, ხელით ვასწორებდი, ვბანდი, ზო-გჯერ კიდევაც ვკოცნიდი და მოდიშაც ვიხდიდი.

უკეთა ეს მარტო საღამოს.. დილით კი, დაუმნახულია  
თუ არა გზაში ჩემს ყოფილ მიხინაგებს, პატარა ჯოგით ტყი-  
საკენ გამგზავრებულებს, კელავ იღვიძებდა შური და მეცუ-  
ბებოდა ჯავრი...

უნდა მოგახსენოთ, რომ თიკნების მწყემსობაში ჩემ მე-  
ტოქეზედაც დიდი სიამოვნებით ვიყრიდი ხოლმე ჯავრს;  
როცა საღამოს ისიც დაბრუნდებოდა ტყიდან, მოუჯდებოდა  
ცეცხლს ფეხშიშველი, კელით დაკაწრულ-გასისხლიანებულ  
წვივებით, იკრიალებულ შევ-შავ თვალებს გვაელებდა ყველას  
და დაიწყებდა გაუთავებელ ტიტინს, თუ როგორ ითამაშა  
დღეს, რამდენჯერ მოიგო კენჭობიაში, როგორ გაიგონა ღე-  
ლიდან ტურის ჰყავილი და სხვ., მაშინ მე ვსკდებოდი გულ-  
ზე და ვეძებდი მიზეზს, რომ წივერდებოდი და გამელახა ის.  
მიზეზის პოენაც არ იყო ძნელი:

— ყანისაც კარგად შეაქმევედი თიკნებს... ან ასე: — რამ-  
დენი კიტრი მოიპარე დღეს?

საქმიარისი იყო ასეთი შენიშვნა ჩამერია იმის ტიტინში,  
რომ ის გაცეცლებულიყო და ჩემთვის რამე უსიამოვნო  
ეთქვა, და მეც ხომ ეს მინდოდა; ატყდებოდა ჩეუბი, იმას  
მეორე პატარა და მოეხმარებოდა, მერე უფროსი დებიც ჩაე-  
ჩოდნენ შიგ; ბოლოს დედა უველას გვერპეცებდა თავში თი-  
თო ორ-ორს და გამოგვრეკდა სახლიდან; მაშის ყანიდან და-  
ბრუნებამდის არ შესწყდებოდა ტიტილ-ყვირილი, მამასთან  
კი ლაპარაკიც გვეშინოდა, მეტადრე დებს.

ერთხელ ასეთი უბედურება შემემთხვა: ნაშეადლევს ჩამ-  
ძინებოდა მინდორჩე, და, როცა გამომელიოდა, შავგულა აღარ  
იყო. ის ძალიან მოყვარული იყო ჭიდაობის, დიდი უსინი-  
დისო ხარიც იყო და გამეცარა სადღაც; ტიტილ-ყვირილით  
ვიტბინე, ვეძებე, მაგრამ იმის კვალიც გაჲქრა; ჯერ საღამო  
არც კი იყო, მარტო წიქარა გავდენე და გავიქეცი სახლში  
უფრო იმის მეშინოდა,— მაშის არ მოესწრო მოსვლა ყანიდან;  
როცა ეზოს დავუახლოედი, მოვუმატე ტიტილს, დავიწყე ხმა-



ორ რიცხვები

მალლი ჩივილი, რომ თავი საშინლად მტკიცა, ფეხიცემას გადა  
წავკარი, მჭადი ყვავმა შემიქამა, მე ვკვდები შიმშილით და  
სხვა—ვითომ ეს იყო ჩემი ტირილის მიზეზი; ნამდვილ მი-  
ზეზე, თითქო ეს უბრალო რამ იყო და არც კი მიხსოვდა,  
სულ ბოლოს ვუთხარი შეშინებულ დედას; სანამ დედა უძახ-  
და ერთს, მეორეს და აგზავნიდა შავგულის მოსანახად, მე  
ვარჩიე დრო, ფეხ-დაუბანელი დავწერი ლოგინში და ვითომ  
დაეიძინე. ბევრი იყვირა მამამ, როცა ჩოვიდა, მემუქრებოდა  
მე, ჩიმოვათრევ ლოგინიდან... მოვკლევ... თოვით ჩიმოვკრებო—  
დებო,—მაგრამ ხელი არ უხლია „მძინარესითეის“ და გოქცა  
სუფსისაკენ. მე ისვე ვიწერი.

— ყოჩალ, ბიჭო, ყოჩალ .. ასე არ უნდა ხარების მოց-  
ლა!—დამტკინდა და კისკისობდა თიკნების მწყეში და.

გვიან დაბრუნდა მამა დალლილი, მაგრამ ხარი ვერ ეპო-  
ვა მე საბის ქვეშიდან ვიქჟირებოდი და ვხედავდი იმის გაო-  
ცლიანებულ სახეს.

— ქალო, შეულოცე ერთი მაინც,—უთხრა მამამ დედას.

დედამ აღლო მაკრატელი, შეკრა ძალებით და დაიწყო  
ლოცა:

— სახელისა ღვთისა მამისა, ძისა, სულისა... ვაი, უი,  
ქვით, კუი... მგელს შეუკარი პირი, ჩააგდე ხრამში, არ ამოუ-  
შეა ემში...—მესმოდა დედის სიტყვები; გაათავა ლოცვა და  
შეკრული მაკრატელი ჩამოჰკიდა ლურსანზე კუთხეში.

იმ ღამეს შავგული თვითონ დაბრუნდა სიღდანლანაც, ასე რომ დილით დიდი მუქარით და დარიგებით გამიმგზავრა  
მამამ ქალისაკენ.

მესამე დღეს დაინახა მამამ შეკრული მაკრატელი ლურ-  
სმანზე და მივარდა დედას:

— ეჲ, ეჲ, ეჲ... ქალო, არ გუხვენია? ცოდვა არ გაქვს  
სრულებით?... აი მაკრატელი ვერ გახსენი იმდენ ხანს?

მამას ებრალებოდა მგლები, რომელნიც პირშეკრულნი  
იყვნენ საფლაც ხრამში!..

ბოლოს და ბოლოს შევერწიე მინდობასაც. თუმცა ბევრი ნი იყვნენ იქ სხვა პატარა მწყემსებიც, მაგრამ მე იმათ არ ვეკარებოდი: პირეელად ერთად ეთამაშობდით, მაგრამ ერთხელ წავიჩნევდეთ; მე გამლახეს, და იმის შემდეგ სულ მარტო ვიყავი.

შემიყვარდა სუფსის მიღამო. აბიბინ ებულ, ამწვანებულ ყანებში უზარმაზარ გველიერი მიკარებოდა და კლანილი მდინარე. იქ-იქ ჩნდებოდა და ამოსხმულ ვერცხლივით კრიალობდა მზის სხივებში; ფართედ გაშლილ, თხავერცხლებულ ველზე თეთრი წერტილებიერით მოსჩანდნენ თოხებით მომუშავენი; ხან დასავლეთის მსუბუქი ქარი მოიტანდა შორიდან მწყობრ ნადურ სიმღერის ჩმებს; შორს, სადაც სუფსა იკრიგებოდა ტყით შებურულ მთებში, მაღლობზე, მოსჩანდა დიდი შენობა წითელი სახურავით და ქვემოდ პატარა თეთრი ეკლესია; ამ შენობის შესახებ ხშირად მესმოდა, რომ ის ბატონის სასახლეო. აღმოსავლეთით, თითქმ კრიალი ცის სივრცეზე ყოფილიყო დახატული, ამაღლებულიყო თოვლით იჭრელებული აჭარა-გურიის მთავრებილი, და იმის დანახვაზე მაგონდებოდა მამის ნაამბობი ნაძვების გაუვალ ტკეცხვებზე, საშინელ დათვებზე და ყაჩილებზე; ჩილოო-დასავლეთით, ჯუმათის მაღალ მწვერვალზე, კოხტალ წიმომდგარიყო პატარა მონასტერი, და იმის ფანჯრები შუადლისას თვალის მომკრელად ელვარებდნენ მზეზე; როცა ამ მონასტერს ვხედავდი, მამისვე მონათხრობი შემდეგი სურათი მიღვებოდა თვალწინ: ბნელი ღამე; ხაყოველთათ ღუმილი; ღრმად დაძინებული სოფლები; მონასტრიდან ძლიერ მოისმის ცისკრის რევა; ამ ღროს მამა გზაში მოდის და ხედავს: ჯუმათის მწვერვალიდან გადმოფრინდა რაღაც უცნოური, ცეცხლივით მნითობი ტრინველი; გადაუარა დადუმებულ სოფლებს, რამოდენიმეჯერ მწარედ დაიკვნესა — კვაი, ვიორა, დავშვა ძირს, სუფსის ველისაკენ, შემოუარა პატარა თეთრ ეკლესიას და იქ გაჭრა...



ხშირად გამიტაცებდა ხოლმე ოცნება: ხან შორის მუსიკის მწვერვალზე ავფრინდებოდი და იქიდან ვხედავდი უსაზღვრო ზღვას, რომელშიც იწვა ქვეყანაზე გარ-შემორტყმული გველ-ებაპი და კუდი პირში ეკავა, რომ ქვეყანა არ დაქცეულიყო.

ხან სუფსას მიცვებოდი ყვინთვით და ვათვალიერებდი შიგ სხვა-და-სხვა თევზებს... აგერ კლდის ძირში გრძელ თმა-წვერ წყლის კაცაც მოვყარი თვალი და შეშინებული მიეჩირი... იგერ დედასაც დაუნახავირ და კივილით მომდევს, მაგრამ მე უკან — მოუხედავთ მიცურავ შორს-შორს და... აპა, ზღვა... ხირების ოდენა თევზები... ზღვის კაცები... ზოგჯერ ხოლმე მოიდან ცაზედაც კი ავტოცდებოდი, რა-სა კვირველია, ქურდულად, რომ უფალს არ დავენახე: იქი-დან ვხედავდი ზღვაში მჯდომარე მზეს და მთვარეებს; ვვორიაბ-დი წითლა-დ შელებილ სკელ ღრუბლებზე, ცოტის კიდეც კიბარებდი, რომ დედისთვის მომეტანა... უმარულის წასასმე-ლად!.. იგერ ჩემს ზევით ინგელოზი გადაფრინდა. თვალი მო-ვეარი და მოერბივიარ უკან...

კარგი იყო ცაზე, მაგრამ მიწაზეც არა უშავდა რა; დავ-დიოდი მდინარის მაღალ ნაპირზე, სარკესავით სუფთა წყალ-ში ვათვალიერებდი თევზებს, ვნაოტრობდი იმით ხელში ჩაგ-დებას, უყრიდი მქადის ნამცეცებს; ხან, მკადის მაგივრად, ბალახის თავთავებს გადაუგდებდი და უზომოდ მიხაროდა, რომ ვატყუებდი და ცხვირს ვაკრევინებდი ბალახზე ან ჯოხ-ზე.

ან კესიც მქონდა, მოპარული ქინძისთავისაგან გაკეთებუ-ლი, მაგრამ ამით, ბაყაყებს გარდა, ვერავინ შევაცდინე.

ხან დიდრონ მწვანე კალიებს ვიქერდი, ძაფით ყველას ერთად ვბორეავდი და საძოვრად ვუშვებდი — ჩემი ჯოგი არის მეთქი, ვამბობდი. ხან გრძელკუდა ყვითელ ჩიტებს, მაპზეკუ-ნებს<sup>1)</sup> ქვით ვეპარებოდი, მაგრამ მოსაკლავად კი ვერ ვიმეტებ-

<sup>1)</sup> ბალო — ქანქალა.

დი. ხშირად დავსცინოდი გრძელ-კისერა უშნო ჭანიჭმაზობა  
ცა ისინი ფთხილად დადიოდნენ ირშინიან ფეხებით წყლის  
პირას ან ჰაობში და ათვალიერებდნენ ბაყაყებს, ოვეზებს და  
სხვა; მე მივეპარებოდი, უცებ ქვის შევსტუოჩუნიდი და ხმა-  
მალლა სიცილით მივაძახებდი:

— ყანჩა — ბაბუა, ყანჩა — ბაბუა!

სამაგიეროდ ძალიან მაჯავრებდნენ უვავები — პირდაპირ  
უტიურად მექულდნენ: ხან ბალაბში დამალულ მქადს მპარ-  
ელნენ და სასიმინდეს სახურავზე მიაძლებოდნენ, ხან ხარებს  
დააჯდებოდნენ ზურგზე და რაღაცას ჰკენკავლნენ; თითქმის  
უოველ დღე უგებდი იმათ მახეს, მთელ ჩემ საღილს იმათ  
შევაქმევდი მოსატყუილებლად, სხვა-და-სხვა რიგად ვულო-  
ცავდი, მთავარ — ანგელოზს სანთელს ვპირდებოდი, მაგრამ მა-  
ხეში ერთიც არ ვარდებოდა, და მე, ვითომდა იმათ გულის  
საკლავად, — აბა სხვა რაღა შემძლო! — ხმა ჩალლა ვმღეროდი:

უფავო, უვავო, ყვანჩალაო,  
დედა შენი დამხჩევალაო;  
თუ წამოხვალ, ქე გატირებ,  
თვარა ტურამ დაგვეძმაო.

— იდამიანთა შორის ორი შევობარი მყავდა.

ერთი იყო მოხუცებული ოქროპირ-მენავე, რომელსაც  
დაცინებით რეინის — პირას ემახდნენ. როცა მდინარეზე ვასაყვანი  
არავინ იყო, ოქროპირი მიაბამდა ნავს ბუჩქს. თვითონ ჩაწევ-  
ბოდა შიგ და უსქეროდა ცას. დაწვებოდნენ თუ არა ჩემი  
ხარები დასასვენებლად, მეც მოუჯდებოდი ნავში ოქროპირს  
და ვლაპარაკობდით. რას ვინდა არ მომიუცებოდა ოქროპირი?  
მაცნობდა სხვა-და-სხვა თევზების ზნე-ჩვეულებას — რომე-  
ლი რით იკვებება, სად უყვარს ცხოვრება, რომელი უფრო  
ადგილი დასჭრია, რომელი „ნუსხიანია“ და არ შეიძლე-  
ბა იმის დაჭრა; იმას ნაეთან მოწევული ჰყავდა თევზები და



მოზრდილებს თითქმის ყველას იცნობდა; სადილის უფრო გამომარტივებული სხვა-რიგად დაარაკუნებდა ხოლმე ნიჩბით, და ნავს შემო-სეოლნენ თევზები: მოხვეულნი იყვნენ ცომჩე და მჭადზე.

— ჰო, მოდით, ჩემო ჩიტუებო?.. უპ!. ამ ქაშაბს ვინ უკიბინა ზურგზე?.. გველი უკენდა დალუპული... ზოლებიანი ჰირფალი არ მოსულა,— ამბობდა ოქროპირი და ათვალიე-რებდა თევზებს:

— ნეტავი მაგათ ცხოვრებას, რომ არავინ იკერდეს!

როგორ შეეძლო მეთევზეს ბაღე გადაესროლა ნავის ახ-ლო: ოქროპირი უკვიროდა, ავინებდა:

— შე ბინძურო, შენთვის ვზარდე მე ეს თევზები ათი წელიწადი?.. არ გაძედო ბალის ჩაგდება!..

მეთევზეებმა მენავეს „თევზების ბაბუა“ დაარქვეს.

მომიყენებოდა ოქროპირი თავის ბავშვობაზე, როცა ემ-სახურებოდა ბატონს — აკვანს არწევდა ის იქ, იმ წითელ-სა-ხურავიან შენობაში, როგორ სცემდნენ და იტირებდნენ; გადავიდოდა მერე ახალგაზიდობაზე, როცა განთავისუფლდა, მაგრამ სიკეთე არც თავისუფლობაში უნახავს; უკიდურესი სილარიბე, ცოლშეილის სიკეთე, მარტობა, ცემა, დევნა, უსაქმოდ ხეტიალი — ყველა ეს გამოულეველ სალაპარაკო მა-სალის ძღლევდა იმას.

მე მიკვირდა, რატომ უნახავს ოქროპირს ამდენი შეი- დლეები — მეთქი, და ერთხელ კიდევაც ვკითხე ამის შესახებ.

— შენ რა იცი, ბავშვა... თხას კუდი სიით აბია, იგიც არ იცი, — დაცინვით მიპასუხა ოქროპირმა.

მე ძალიან მეწყინია ჩემი ასე აბუჩად ავდება და დავიწყე შტკიცება, მცოდნია თუ არა, სიით აბია თხას კუდი, მაგრამ ამან არ გასჭრა, და გამაწყვეტინა:

— შენ ჯერ ბარტყი ხარ — რად არ მოგშრობია ბაგეზე... ავერ გიოზდები, თვალს გაახელ და მაშინ იცნობ კარგს და ავს... ახლა შენ-კი არა, მე არ ვიცი, რა უშლის ხელს კაცს რიგიანად მოაწყოს ცხოვრება.



ოქროპირს უყვარდა სიმღერა; შეჰყურებდა, ნატრი ჩაჭრა  
ლილი, ლურჯ ცის მიმზიდველ უფსკრულს და ლილინებდა  
გარეხილი, ყრუ ხმით, უფრო ხშირად ეს სიტყვები მესმოდა:  
„ოხერო, წუთის სოფელო, სად, როდის დამილამდები“.

მეც მასწავლა რამოდენიმე სიმღერა და ლექსები, მაგრამ,  
როცა ერთი ამ უკანასკნელთაგანი საღამოს სახლში ვიმღერე.  
საში თთხი მტკეცა დედამ ზურგს ქვევით და დამიყვირა:—  
მეტი არ გავიგონო მაგისთან ბინძური რამე.

ერთმა გარემოებამ დაგვაშორა მე და ოქროპირი.

ერთხელ იმას ცოტა დაელია მეწისქვილესთან და ლრმად  
ჩეგძნა ნაეში, ასე რომ ჩემთან ღაბარიაკის თავი აღარ ჰქონდა;  
მე კარგა ხანს ვიჯექი იქ და მომეწყინა; ბოლოს მშვენიერი  
ახრი მომიერდა თავში,—მოდი ერთი მეც ვინავოსნო მეთქი.

აფხენი ნავი, ავიღე ნიჩაბი და... მაგრამ რა დავინახე,  
რომ მე ნაეო არ მემორჩილება, სანამ კიდესთან ჯერ კიდევ  
ასლოს გყავი, ჩაგხრი წყალში და იმოვედი ნაპირზე, ნავი  
კი ნელ-ნელა ჩაჰყა ქვევით; მაშინვე გავრჩევ ხარები და გა-  
ვიქეცი. შორიდან დავინახე, როგორ მიეჯითა ნაეო წყალში  
ჩაფლულ ხეს, როგორ წამოვარდა ოქროპირი, მოუსვა ნი-  
ჩაბს ხელი და ხანდისხან მუშას იქნევდა ჰაერში.

ამის შემდეგ აღარ მივსულვარ ოქროპირთან.

მეორე შევობარი ჩემი იყო ფარნაოს მეწისქვილე. გამ-  
ხდირი, დაბალი, ბეჭებში ცოტა წახრილი, ფქვილით გათეთ-  
რებულ ძონძებში, მუდამ გაბურდვნილი და ფქვილით სავსე  
თავით, წითელ წვერა, გრძელ-ბეწვიან, გადმოხურულ წარბე-  
ბით, რომლებზედაც ახლად —მოსულ თოვლივით ედო ფქვი-  
ლის მტკერი, ენაჩლუნგი, -ახლაც მიღვია თვალწინ ფარნაო-  
ზის ასეთი სურათი. იმას არ უყვარდა ვინმესთან ლაპარაკი;  
შეუსვენრად დაცოცავდა შეყრილ ტომრების გარშემო, რა-  
ღაცას ჩურჩულობდა, ლანძღავდა და სწყევლიდა თავვებს და  
ვირთხებს, რომელნიც თავისუფლად დახტოდნენ წისქვილში  
და იქნედნენ გრძელ კუდებს.

წევის დროს მიედენილი ხოლმე ხარებს წისქვილთან; ხარები სისიმინდეს ქვეშ დაწყებოლნენ; მე ფარნაოზუაზუაზუა დიოლი და მოვუჯდებოლი ცეცხლს. ხშირად მაძლევდა ჟავაშიანა ნოზი მსხალს, ვაშლს და ატამს: ყველა ეს „ქრისტიან“ მოკ-ქინდათ მცხოვრებლებს, რომ ამით დაეჩარებინათ მოტანილ სიმინდის დაფენა. უფრო კი ერთი რამ მიზიდავდა წისქვილში: ფარნაოზი შეუდარებელი ოსტატი იყო ფქვილის ღომის მხადებაში და გამხმარ ყველასაც საუცხოოდ ხარშავდა ღომში... რა თქმა უნდა, მეც სიდილის დროს ვარჩევდი, რომ მხედენოდა რამდე.

ოქროპირ მენავეც წისქვილში დაილოდა სახადილოდ (ნავი იქნა ახლო ება); ხშირად ესუმრებოდა ის ფარნაოზის უბერტყავდა ზურგს, საშინელ მტვერს ადენდა და ეუბნებოდა:

— ბიქო, ფარნაოზავ, რად იხრჩობი ამ ფქვილში?.. გაი-რეკ-გამოირეც, თვალები გამოიწმინდე, ერთი შინ ც გადა-ხელე ლვითის გაჩენილ ქვეყანას!..

— სენ ნომ ხედავ ქვეყანას, მეგთ ნა გააკეთე... — ზარ-მაცად უპასუხებდა ფარნაოზი და განაგრძობდა ცხელ ლუკ-მის გორებას პირში.

— აბა მთელ შენ სიცოცხლეში თავვების „ჯანდრათ“ უნდა იყო?. დასცინოდა ოქროპირი.

— სენ ც ან მოგბეზნებია თევზების ბაბუობა? — არც ფარნაოზი რჩებოდა ვალში.

ზოგჯერ ხოლმე ქრისტიან მოტანილ ლვინოსაც გადაჭ-კრავდნენ ჩემი მეგობრები ..

სასაცილო იყო მეწისქვილე, როცა ქარის დროს საღმე მიღიოდა: თითქმ გამოულეველი ფქვილის ტობარა იყო თვითონ — სულ ბოლიდ ასდიოდა მტვერი.

არა — ერთხელ გამიჩერებია წისქვილის ბორბალი ლარში ქვის ჩაგდებით, მაგრამ ვასწრებდი დამალვას, და ფარნაოზის ჩემზე იქვიც არ მოქმენდა. ნავის გაშვების შემდეგ კი წის-ქვილისაც ჩამოვზორდი და სხვა მინდორზე დავდიოდი.

ვინ იცის, იქნება ჩემი მეგობრები ახლა არც კი ირიან ცოცხალნი!...

(დასასრული იქნება)

გამრიცელ გოგუაძე.



## გაზაფხულდა



თოთოლი იშრიკალდა  
მალალ კაკლის ხეზედა;  
ბალახი აბიბინდა  
მინდორზე და ველზედა!

შყაროვები ლიკლიკით  
ჩამორბიან კლდეზედა;  
მერცხლები ქიკერიკებენ  
სასიამო ხმებზედა.

გაზაფხულდა!.. გოგი,  
ჯერი მოდგა ჩვენზედა;  
წიმო გავინავარდოთ  
ამწვენებულ ველზედა.

ტაში, ტაში, ბიქებო,  
ცანგალა და გოგონა!  
ერთი შემომხედვეით,  
როგორ ვხტივარ, როგორა.

გაზაფხულდა! ეენაცეა  
მას ეუეუნა თვალშია;  
ამუსიკდა მიდამო,  
ტაში, ტაში, ტაშია!..  
დ. ედიოზიმეიდო.

# ჩაისმენის ხელმწიფის და შისი შვილის ქლიმუშიერის არაკი



რო ქვეყანის იყო ერთი ცოლითი ხელმწიფე, სახელმად ჩაისმენი. დაბერდა ცოლ-ქმარი და შვილი არა ჰყავდათ. რადგან ჩაისმენი მეტად მდიდარი ხელმწიფე იყო, ფიქრობდა: ვის დარჩება ჩემი ქონებათ, და ცოლ-ქმარი იმდენად მოწყენილი იყვნენ, რომ მათი გაცინება ძვირიად იქნებოდა.

ერთხელ ჩაისმენის სასახლეს სტუმრად მოვიდა გარეშე ქვეყნის ხელმწიფე და ცოლ-ქმარი რომ ძლიერ მოწყენილი ნახა, ჰქოთხა მათ:

— რისთვისაა, რომ ცოლ-ქმარი მოწყენილი ხართო?

— ან რამ უნდა გაგვამხიარულოს, — უთხრა ჩაისმენმა:

— ცოლ-ქმარი მოვხუცით და შვილი კი არა გვყავს; ვის დარჩება ჩენს შემდეგ ჩენი ქონება, არ ვაცითო.

სტუმარმა ცოტა წნის ფიქრის შემდეგ სოქეა:

— წლის თვეზე შვილი შეგეძინებათ, მაგრამო...

ჩაისმენი გადაეკიდა სტუმარს და უთხრა:

— „მაგრამ“ რისთვის დაატანე შენს სიტყვას, ამისსენი.

სტუმარმა უპასუხა:

— თქვენ შვილი დაგებადებათ წლის თვეზე, სახელმად ჯიმუშიერი დაარქვით; ის ბავშვი იმნიორ ვარსკელავზე დაბა-

დებული იქნება, რომ, თუ კვერცხი აჩვენე, უცემა მულტყვამება  
ნუტევებს. და თუ სახელი „კვერცხი“ გაიგონე, მისი ბედი ის  
არი: „რა არის ეს კვერცხი, ამას შევიტყობო“, — იტყვის  
და იმას გადაპყვებათ; „მაგრამ“ იმისთვის დავატანე ჩემ სი-  
ტყვას, რომ გაგიტირდებათ იმ ბავშვის შენხევით.

ხელმწიფებ და მისმა ცოლმა რომ ეს გაიგონეს, მაინც  
ძლიერ გაეხარდათ და სტუმარი დააჯერეს: „ჩვენ ქონებას  
გადავდებთ და შეიღლს არ დავკარგვავთო“.

შემდეგ სტუმარი დიდად პატივნაცემი გაუშვეს.

წლის თავზე ჩიისმენის ცოლს მართლაც ბავშვი დაებადა.  
ბავშვი დღეს რომ არის, იმას ხეალ სჯობს, ხვალ რომ არის,  
იმას ზედ სჯობს. მთელ სახელმწიფოში გაიარდა ხმა, რომ  
ხელმწიფე ჩიისმენს საარაკო ბავშვი შეეძინათ. ვისაც კი რომ  
შეეძლო მისვლა, ულოცავლენ ხელმწიფეს ამ ბავშვის შეძე-  
ნის. კაცს რომ არ უთქვამს, ის ვინც კი მოდის, ჯიმუშიერს  
ეძახის ახლად დაბადებულ ჩეივილს. ცოლ-ქმარს ეს ძალიან  
უკვირთ. ჩიისმენმა ბრძანება გასცა, რომ ჯიმუშიერს კვერცხი  
არავინ აჩვენოს და არც სახელი გააგონოს. ხელმწიფე და  
მისი ცოლი მეტად მხიარულად ცხოვრობდნენ.

ერთხელ ჩიისმენი სანაღიროდ წაფიდა და ჯიმუშიერი ამ  
დროს ვეზირის შეიღლავან ბურთს თამაშობდა. გაისწოლეს  
პირველად ბურთი. ვეზირის შეიღლმა აჯობა ჯიმუშიერს. გაი-  
სწოლეს მეორედ, — კიდევ ვეზირის შეიღლმა აჯობა. ჯიმუშიერს  
გული მოუკიდა და გალურჯდა: რა უნდა ექნა, არ იცოდა.  
ვეზირის შეიღლმა უთხრა:

— ბავშვო, ამ ზომად გული ნუ მოგივა, თორემ კვერ-  
ცხიეთ გასკედებით. ჯიმუშიერმა უთხრა ვეზირის შეიღლს:

— რას ჰქვია, ბავშვო, კვერცხიო?

ვეზირები რო თამაშობას უყურებლენ, გაიგონეს ეს და  
თქვეს: დავიღუპეთო.

ვეზირის ბავშვი მაშინევ მოაშორეს ჯიმუშიერს. ჯიმუ-  
შიერი გადაირია: „მაჩვენეთ რას ჰქვია კვერცხიო“, — დაინიე.



მიგრამ კვერცხი რო ქჩექნებინათ, ჯიმუშიერი მოკადული დოჭირებული იყო არა და მთლიად გადაირია, ვერ დგებოდა შინ და გადა-



ვარდნას აპირებდა. ვეზირებმა და ჯიმუშიერის დედამ სახლში ჯიმუშიერის სიკვდილს მისი სხვაგან გადავარდნა ამჯობინეს და მისცეს ერთი ყველაზე უკეთესი რაში. შეუკაზმეს რაში. დაპყრია მათრიახი და გადაიარა ერთი მთა. მეორე მთა, მესამე. დაიღიალა, ჩამოხტა რაშიდან და მინდორში დაწვა. ჯიმუშიერის რაში ისეთი ალზრდილია, რო პატრონს ნანატრს აუსრულებს. დღე იდგა კარგი. ჯიმუშიერს რო წაეძინა, გაიელვა. „რაა, რომ ელავს, ამას შევეიტყობო“; შეჯდა ჯიმუშიერი ხელახლა რაშე და გადაიარა ერთი მთა, მეორე, მესამე. დაიღიალა, ჩამოხტა რაშიდან ხელმეორედ და მინდორში დაწვა. ამ დროს ისევ გაიელვა. დღე კარგია. „რაა, რომ ელავს“, გაკვირვებულია ჯიმუშიერი. გაიხედა და დაინახა, რომ ერთი მოლოზანი წყაროშე მიდის წყლის ამოსალებად. ჰკითხა ჯიმუშიერმა ამ მოლოზანს:

— რა არის, რო კაზე ღრუბელი არსადა სჩანს და უკარგროს კი?

— შვილო, — უპასუხა მოლოზანშია, — ეს შენ კი არა, ვინაც შეიტყო, ნეტავი იმათაც არ შეეტყოთო.

ჯიმუშიერი არ მოეშვა მოლოზანს: მაინცა და მაინც მითხარიო. ბოლოს მოლოზანშია გაუცხადა ჯიმუშიერს: „ამა და იმ ადგილს ერთი მზეთუნიხევია. ზევით ოდაში ზის და ის რო სირკმელიდან ხელს გაღმოჲყოფს, მაშინ განითლდება და ელვაც ის არისო. ახალგაზრდებმა, რომლებიც იმ ქალის სათხოერად მიღიან, უნდა ახსნან ის, რასაც ქალი მათ ეტყვის. თუ ახსნეს, ცოლად მიჰყებდა, თუ არა და, თავი უნდა მოჰქმდოს. რაც რო ეზოში მესრებია, სამის მეტს ცველის წამოგებული აქვს თითო კაცის თავით.

ჯიმუშიერმა თავის გულში სთქვა: ის ქალი ცოლად უნდა შეეირთოთ. გამოეთხოვა მოლოზონს, მოხტა ჩაშს და გისწიო. გადიორა ერთი მთა, შეორე, მესამე. ამნაირად თორმეტ წელიწადს იარა ჯიმუშიერმა და დიდი გაიზარდა. ბოლოს გაიხედა და ნიხა, დგას ერთი დიდი ოდა. მიაღწია ჯიმუშიერმა ოდასთან, მაგრამ ეზო ერთინად განათებულია იმ ქალის შექით, ისე რომ თვალები ვერ გაახილა. როგორც იყო ჯიმუშიერი ოდაში შეეიდა. ქალი მოეგებდა, მაგრამ ვაუმა თვალი ვერ გაუსწორა, როგორც მზეს.

— ვაერ, რისთვის მოდიო? — ჰეითხა ქალმა.

— ძლიერ გაქებენ და შენ სათხოერად მოეცდიო, — უპასუხა ჯიმუშიერმა.

ქალს შეუყვარდა ჯიმუშიერი და უთხრა:

— ვაერ, ძლიერ მეცოდები, მაგრამ რა ვქნა? ჩემი დედმამისაგან დაბარებული მაქვს და მეც ქვაზე ფეხი მიღვია \*), თუნდ მათხვეარიც რო იყოს, მას გავყვები ცოლად, ვინც ამისსნის: გულის ვარდი და გულის დარდი რა არის? ვინც

\* ) ე. ი. მტკელე და შეუჩეველი ვარო.

ამას ვერ ამისსნის, თავი უნდა მოვკვეთო. შენც ხელი გადასახლებული იყო, მესრები სამის მეტი საესე მაქვს კაცის თავებით; პარამ რა-  
დგან შენ ასე შემიყვარდი, ვალა მოგცემ ერთ წელიწადს ამ  
გამოცანის გამოსაკითხვად და მოსაფიქრებლად. ერთ წე-  
ლიწადში თუ ვერ ახსნი, ვინც ახსნის, მას წაყვები ცოლად.  
ასე ერთ წელიწადს შენ გიყურებო.

— յարցոս, — շոտերն էլ ըմբցնոցին և տան զափցովին: Ես  
այս ազեւուցու, և այս մոցուու.

გამოეთხოვ ქილს და გასწიო. იარა, იარა და ნახევარი  
წლის შემდეგ ერთ გარეშე სახელმწიფოს მიერდა. გზაზე სულ  
ამას ფიქრობს: რა არის ეს გულის ვარდი და გულის ღია-  
ღია, მაგრამ ვერაფერს მიხვდა. ბოლოს გაიხედა და დარჩა, რო  
ცა და ქვეყნის კაცი ხელმწიფოს სახახლის ეზოს კართან  
დაბარგებულია. პირვერი გალებულია. ხელმწიფე თავში იკემს  
და ტირის, აქციანაც მოელი ხალხი მიატირებს. ლხინიერი  
სმა-ჭამა და რისთვის ტირიან, თავი არ უჩანს. პკოთა ჯიმუ-  
შიერმა და უპასუხეს, რომ იქ შესვლის ნება არ არის და  
ასე თავი რო არ უჩანს, ისე მივატირებთ. ხელმწიფეს არ  
უნდა გააცხადოს, რაც დაემართა, და ვინც შეიტყობს, იმ  
წიმსვე მოჰკლოეს.

ჯიმუშიერმა მოუქნია რაშს და ხელმწიფის ეზოში შევი-  
და. ხელმწიფებ ჯიმუშიერს არაფერი უთხრა. საღამოს ხელ-  
მწიფებ უცებ ეზოს კარი დაპკეტა. ჯიმუშიერი ხელმწიფის  
სასახლეში შევიდა და ნახა: ზევით ჰქილია თორმეტავიანი  
დევის თავი, კარს ერთი თეთრი ფინია მიწოლილი, ზევით  
მიმინო ზის და თვალდაუხამხამებლიად დევის თავს უცეკრის.  
ჯიმუშიერს ძლიერ გაუკვირდა ეს. ამ დროს შემოვიდა ხელ-  
მწიფე და ჰქითხა:

— რისთვის გამსულობარი?

Հօմը Շոյերո թուղպա և դժեն:

— გულის ვარდი და გულის დარდი რა არის, ამის ახასინელად ვარ გამჭოვარდნილიო.

ხელმწიფებ უთხრა:

— შეილო, ხომ ხედავ ჩემს ეზოს ხალხი როგორ ახვე-  
ვია. იმათ შემოსვლის ნება არა აქვთ, მაგრამ მაინც მოდიან



იმის შესატულბად, თუ რა სატიროლი დამემართა მე. გულის ვარდი და გულის დარდი ორივე აქ არის. ვინც აშის შეტულ-ბისათვისა სიკვდილს ირჩევს, იმას აუსხსნი და მაშინვე მოვ-კლავ, რაღვევ არ მინდა ჩემი ამბავი ვინმემ გაიგოს; ხოლო ვინც სიცოცხლეს ირჩევს, ის აქ დარჩება ერთ წელს. წლის თავს შეაბათ დღეს ტირილი იქნება და კარს რო გავალებ, აქედან გავა. ახლა რომელი გირჩევნია, შეილოოზ—ჰელო ხელმწიფებ.

— რო შევიტყო და შემდეგ მოვკვდე, ის მირჩევნიათ,— უპასუხა ჯიმუშიერმა.

— ჩაშ კარგიო,—უთხრა ხელმწიფებ,—მე თავის სიკვე-  
თელს მოვიტანო. ადგა და წავიდა. ამ დროს ჩაშმა უთხრა  
ჯიმუშიერს:

— ნუ გეშინია! შენ თუ ზურგზე დამამიტრევის მოშევა  
ეჭოს გადავახტებო. როდესაც შემჯდე, ისეთი შეთრიანი დამ-  
კარი, რომ ერთი შოლტი რყავი ცალ გვერდზე ამჟრეს და  
ერთიც მეორეზე.

ອົບ ດ້ວຍຕົວ ສະແດງທີ່ມີຄວາມ ມາດັດ ແລະ ມາດັດຕຸກົນ ຕະຫຼາມ ສະແດງ-  
ຕະຫຼາມ. ມາດັດປູກ ສະແດງທີ່ມີຄວາມ ມາດັດ ອົບອໍານຸຍົກ:

— მე ძლიერ მდიდარი ხელმწიფე ვიყავი. ცოლი შევართე ისეთი, რომ როგორც მჩენს, ისე ვერც მას შეხედავდიო; დაც მყავდა მზეთუნახავშე უკეთესი. ვცხოვრებდი ბეჭნიერად და ორი მქონდა გულის დარღი ჩემს ცოლს შექვევარებოდა თორმეტთავისი დევი; ეს შეეტყო ჩემს მზეთუნახავ დას და მან მე მითხრა: დევი დავიტირე, თავი მოკვეთე და ხომ ხედავ, ვერ მიკიდია. ჩემმა ცოლმა ეს შეუტყო ჩემს დას, დასწუევლა და თეთრ მწევრად გადააქცია; ხედავ, ვერ კართან წევს. ჩემი ცოლი მე მთლად ვერ მოკვალი, დავსწუევლე და მიმინოდ ვაქციე; როგორც კი მიმინოდ გადაიქცა, იგერ ზევით შეტყინდა და იმ ზომისზე უყვარს დევი, რო თვალს ვერ ამორებს. ეს განა ჩემი გულის დარღი არ არის?

ახლა უკვე წლობით ერთ შებათ დღეს ჩემს ხალხს მო-  
ვიწვევ. დილიდან მოყოლებული საღამომდის ეზოს კარი მაქვე  
გადებული და მე ვტირი აქ, ისინიც იქიდან მომატირებენო. ამ  
რიგად რაც რო მე დამემართა, იმს სხვას არ ვატყობინებ  
და თუ ვისმე მოვუყევი ჩემი გარემოება, მას იმ წამსკე მოვ-  
კლაფო.

გათავა ხელმწიფებ ამბავი და თბლა ჯიმუშიერს თავი  
უნდა მოჰკვეთოს. ჯიმუშიერი ელვის სისწრაფით რაშს შეა-  
ხტა, დაძურა იქით-აქეთ მითრახი და ორივე გვერდზე თითო  
შოლტი ტყავი იაძრო. რაშმა ისკუპა და ეზოს უშველებელ  
ციხეს თავს გადაევლო. მოკვდა ჯავრით ხელმწიფე, მაგრამ  
რა უნდა ექნა?

ჯიმუშეირმა გისწია ქილის სახალისაკენ. ქილის ეზოში ყველა მცსრები სავსე იყო კაცის თავებით. ქილმა რო გარე-



მოება ჰქოთხა, ჯიმუშიერმა აუხსნა, რა არის გულაბის ფართი და გულის დარღვევა. ქალს ძლიერ გაეხარდა და ცოლად გაჰყვა ჯიმუშიერს. დიდი ხნის შემდეგ ჯიმუშიერმა ჰქოთხა ცოლს:

— აქ რო ვრყოთ, ის გირჩევნია თუ ჩემსას წამყვებიო?

— იქეთ წაგუვებიო, — უპასუხა ქალმა.

გამოეწყვნენ წასასკლელიად: ქალმა ცისა და ქვეყნის სიკეთე და სიმშვენიერე ურმებს დაუწყო და წამოვიდნენ. იარეს, იარეს და ცხრა მთა გადაიარეს. მოაწიეს ჩიათების სასახლეს.

ჩიათები და მისი ცოლი შევად გამოწყობილი სხედან მას აქეთ, რაც ჯიმუშიერი გადავარდა. ვეზირები ყველა გადაასახლეს ერთხელ გაიხედეს და დაინახეს, რო ქალი და ვაური



მოდის, მაგრამ ვერ იცნეს. ჯიმუშიერი და მისი ცოლი აფი-დნენ სასახლეს და დასხლდნენ. ჯიმუშიერმა ჰქოთხა დედას:

— ბატონო, რამ მოგაწყინათო?

ჩიათების ცოლმა ქმარს უთხრა:

— ამ ბავშის ჩმა ჯიმუშიერისას ჰგვანებია და პლატისტუმისა ვუმზრიცოთ ჩვენი ქონებათ.

ჯიმუშიერმა ველარ მოითმინა და სოქვა:


— მე ვარ თქვენი შეილიო.

ჩისმენი და მისი ცოლი გაშტერდნენ ნამეტანი სიხარულით და როდესაც გონს მოვიდნენ, გადაეხვივნენ და გადაპყონეს ჯიმუშიერი და მისი ცოლი. ჯიმუშიერი მოუყვა დედმამას თავის თავებდასავალს. გამართეს ლხინი. ვეზირები ისევ დააბრუნეს და შემდეგ ბელნიერად ცხოვრობდნენ ყველანი.

სამი ვაშლი, სამი ბროჭეული

ღმერთმა ნუ მოგიშალოთ,

თქვენი ხელით მოწეული.





## ହିଙ୍ଗନ ସାହିତ୍ୟବଳିରେ ନୀତିଜ୍ଞାନ

ପ୍ରକାଶନ କରାରୀ

ମନୁଷୀଳିକ, ମନୁଷୀଳିତ ପ୍ରେସର ମନୁକାର୍ଯ୍ୟ,  
ମନୁଷୀଳିତ ପ୍ରେସର ମନୁକାର୍ଯ୍ୟ  
ଏବଂ ତାଙ୍କ ମନୁଷୀଳିତ ପ୍ରେସର ମନୁକାର୍ଯ୍ୟ  
ପାଶାଥେନ୍ଦ୍ରିୟବଳିରେ ମନୁକାର୍ଯ୍ୟ ଏବଂ ବାଲିରେ.



ହିଙ୍ଗନ ସାହିତ୍ୟବଳି, ସାହିତ୍ୟପ୍ରେସର, ଏହିକୁ ମୁଖ୍ୟ  
ବିଷୟବଳୀରେ ଉଦ୍‌ଦେଶ ମନୁକାର୍ଯ୍ୟ ତେତୀର୍ଥା-  
ତ୍ରୀଣିକ ହିଙ୍ଗନ ହିଙ୍ଗନ ହିଙ୍ଗନ, ଧରନି-ଚିପୁଳିକ, ଧାର୍ଯ୍ୟବଳ-  
ବେଳ ନାଯାଦୁଲୁଗବୀକି, ବୋଲିକିତ ମନୁକାକୁଳିକ୍ଷେ ଗୁରୀଳ  
ଚିପୁଳିକି, ମାରି ତାଲିଲ୍ଲି-ମନୁକିକୁଳିକ୍ଷେ ମନୁକା-  
କୁଳିକି ଏବଂ ଚିପୁଳି-ଗମକୁଳିକ୍ଷେ ତିବେବୀକି; ପ୍ରେସର  
ଏ ଚିପୁଳିକି ଗୁରୀଲୁଗୁଲାକ ଏବଂ ସିନ୍ଧିମନ୍ଦିରିକିତ ଗମକ-  
କୁଳିକି ହିଙ୍ଗନ ହିଙ୍ଗନ ହିଙ୍ଗନ ହିଙ୍ଗନ ହିଙ୍ଗନ ହିଙ୍ଗନ ହିଙ୍ଗନ  
ମନୁକାର୍ଯ୍ୟବଳିକି ମନୁକାର୍ଯ୍ୟବଳିକି ମନୁକାର୍ଯ୍ୟବଳିକି.



უმთავრესი აღვილი, სადაც სათავე აქვთ საქართველოში მდინარეებს, არის კავკასიონის ქედი, რომელიც საარავო მდევ-სახით გატიშულია ორ ზღვის შეუ. ამ ქედის ცაში ატყორუნილი მწვერვალი ზამთარ-ზაფხულ თოვლით და ყინულით არიან შემოსილნი; ეს თოვლი და ყინული, წყლად ნაჭევი ზაფხულის მზის ცხრველ-მყოფელ სხივებისაგან, მიწაში ეთნავს და შემდეგ ანკარა ნაკადულებად ამოჩქრიალებს მიწის ზედაპირზე: ნაკადული უერთდება ნაკადულს და ნელ-ნელა, თანდათანობით ჩნდება მოზრდილ რუს ოდენა ნაკადი, რომელიც კვლავ იერთებს თავის მხვივს ნაკადებს და უკვი ჰატარა მდინარედ იქცევა.

საქართველოს მდინარეების წყლით საზრდოობას ხელს უწყობს აგრედევე გურუნა წვიმის წყალი.

მდინარე ქსანს აქვს სათავე კავკასიონის ქედის ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალის ძირში; ეს მდინარე არის ქვემო ქართლში და ძალად მოხვდება ლიახვება და არაგვება; დასწყის ამ მდინარისა დუშეთის მაზრაშია, დასასრული — გორისაშია.

უნილის მთის აღმოსავლეთით 9583 ფუტის სიმაღლეზე მდებარეობს მთის ტბა, სახელიდ ყნოლის-ტბა; იგი ღრმა არის, წყალი მკვირვალე და ციცია, თევზი იქ სრულებით არ ბუდობს. მისი ზედაპირი უდრის დაახლოვებით ექვს თოხუეთს ვერს. ამ ტბის სამხრეთის მხრიდან გაღმოდის ჰატარა ჩიხჩიუხა ნაკადი, ხალისით მორიკრავე; ეს არის მდინარე ქსნის დასაწყისი. მდინარე ქსნის ნაპირები იქ დაბლები არიან. შემდეგ ეს მდინარე ღრმავდება და მოშეუის ხეობაში, მაღალ მთების შეუ.

მდინარე ქსანი ამ აღავას თარი მოზრდილი რუს ტოლა იქნება. იგი მოსჩქეფს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, მაგრამ წინ რომ აქცულებია ლომისის მთა, მდინარე ქსანს, თითქო ამ მთის ცაში ატყორუნილ წვერზე აშენებულ წმიდა გიორგის სახელობის ზორს განთქმულ ეკლესის რისხეის შექმინებით, პირი სამხრეთისაკენ უქნია, აჩქრებულა, და-



ქანებული და ეს სიმკვირცხლე, მთაში შეთვისებული მარტინი  
ნარჩუნებია თეის შესართავის მდე.

ქანი ერთვის მდინარე მტკვარს მარცხნა მხრით რკი-  
ნის გზის საღვურ „ქსნის“ დასავლეთით. აქ ქსანს, როცა დაუ-  
ნახას ზარმაცად მოზღვაზუნე მტკვარი, ეს კართველ წყალთა  
მამა-მთავარი, და შეუტყვია თეის დასასტულის მოსხლოება,  
დანანებია თავი, მოუსურვებია კვლავ თავისუფლების, საკუთ-  
რად არსებობის შენარჩუნება, დაუპირებია მის ხელიდან გასხლ-  
ტომი, კოლაპოტი დასავლეოის კენ შეუბრუნებია, მაგრამ მინც  
ვერ გაჰქიცვია მტკვარს და ჩუხჩუ-ტირილით დაწერებია.

მდინარე ქსანს თეის დასაწყისიდან შესართავის მდე ერთვის  
მრავალი მთის ნაკადი და ხეების წყალი; დასაწყისიდან სულ  
რამდენიმე ვერსსზე ქსანს ერთვიან ეამურა, გორგა და ბაბ-  
ტულა; შემდეგ ერთვის ცხრა-ძმული მარცხნა მხრით; მერე  
ჭურთა, სოფ. მონისტრის ქვემოდ, მარჯვენა მხრით, და და-  
სასრულ ალეურა, რომელიც ჩამორჩის სოფ. ალევზე, რის  
გამოც მიულია თეის სახელი; იგი ერთვის ქსანს მარცხნა  
მხრით. სხვა წყლები ისე პატარები არიან, რომ მცხოვრე-  
ბელთ არ შეუწევებიათ თავი მათვის ცალკე საკუთარ სა-  
ხელების გამოდონებით და პირდაპირ „ხევის წყალს“ უწოდე-  
ბენ.

მდინარე ქსანს ერთვის რამდენიმე სამკურნალო წყალი,  
რკინა და გოგირდ-ნარევი, რომლებითაც მცხოვრებნი სარ-  
გებლობენ სხვა-და-სხვა ავადმყოფობის გასაკურნავად და უფ-  
რო ხშირად დაკრუნჩეულების მოსარჩევად. საქონელი, თით-  
ქოს იცოდეს მათი მკურნალი ძალა და მარგებლობა, ძალიან  
ეტანება მგვარ წყლებს. ეს სამკურნალო წყლები ჯერ სრუ-  
ლებით არ არიან მეცნიერულად გამოკვლეულნი და შესწავ-  
ლილნი. მევე წყლები მოიპოვება სოფ. ბაგინის ახლო; გო-  
გირდისა კი—ყანჩაეეთთან.

მდინარე ქსანი, ეს ჩეენი „ცა-ფირუზი, ხმელეთ-ზურმუხტი“  
სამუშაოს შეილი, სამურა სინახეია: ხან მოხტის, მოეჩქა-

რება, თითქო საშურო საქმეზეა დაბარებული და უგვიფრდებული; ან ვინმე მდევარი დასდევნებია და სურს მას დააღწროს მაცხოველი ვიო, და ამ დროს არ ინდობს არაფერს და არავის, თუ წინ გადაედობება, წინ დაუხვდება და დააგვიანებს; რაც და ვინც უნდა იყოს იგი, შეებრძოლება, უკვეთება მთელი თვის ძალით და უეპველად ჩამოიშორებს გზიდან და ძლევა-მოსილი განაგრძობს მსელელობას; ხან თითქოს მომეტებული სიმკვირ-ცხლით, ქვიდან-ქვაზე და კლდიდან-კლდეზე ხტუნაობით მოლლილი, ნელა, ზანტად მიიზღაუნება მწვანე კიდეებს შორის და ბუტბუტებს, ვით გაბრაზებული ან ცვალებად ბეღის და იღბლის უმაღური; ხან თითქმის ერთ აღვილას ჩერდება, ვით თავბრუ-დასხმული ტრიალებს, ტრიალებს, აღრმავებს მიწას, თითქოს დათვი მოსახვენებელ ბუნავს იკეთებს, მაგრამ უცამ ერთს მძლავრად შეომტრიალდება, შერდულის ქვასავით გაექანება და ისევ ჩვეულებრივ გააბამს დაუსრულებელ მღერას: ხან სიხარულით ხვესეს, ხან ნალველით გაედენთილს.

მდინარე ქსანი ფრიად სასარგებლო იმ მრავალ სოფლის მცხოვრებთათვის, რომელნიც მოფენილან მის მარჯვნივ და მარცხნივ აუზღებულ მთების ფერდობებზე. ეს მდინარე აწყავს ამ სოფლების მამულ-დედულს: სახნავებს, ვენახებს და ბოსტან-ბალებს. ქსანივე რწყავს მუხრანის კარგა მოზრდილ ველზე გაშენებულ სოფლების მიწებსა. ქსნის წყალს სვამს ბევრი სოფელი, სადაც წყარო, ვა და სხვა სასმელი წყალი არ მოიპოვება.

ქსნის ხეობაზე ბევრი წისქვილია, თითო სოფელთან — რამდენიმე, და ზაფხულობით, რაღვანაც ახლო-მახლო მთის პატარა მდინარეები შერება და ვეღარ ძალ-უძა წისქვილის ქის დაბრუნება, მეზობელ ხეობათა მცხოვრებნი ქსნის ხევის წისქვილებზე ეზიდებიან პურს და სიმინდს დასაუქველად. ქსნის წყალზე აშენებული წისქვილები ჩვეულებრივია, მხოლოდ მთის წისქვილები მით განსხვავდებიან, რომ შენობები ძალიან პატარები არიან, და ქვებიც პატარები ბრუნავენ. მთაში თი-

თქმის იშვიათია კერძო პირის წისქვილი; ერთი წულებულების არადენისამე სოფელს ან კომლს კუუთვნის. განგებ მიჩნილი მეწისქვილე ამისთანა წისქვილში არ არის; თუ ვისმეს სურს დაფქვა, მოვა, მოიტანს ხორბალს, დაფქვავს, შემდეგ გადა-  
რაზეს წისქვილის კარებს, გადაკეიდებს ფქვილით სავსე ტომ-  
რებს ცხენს და გასწევს სახლისკენ.

მდინარე ქსანში ბულობს რადგალი თევზი. თევზის ხშირად იქრენ ამ ხეობის მცხოვრებნი. ქსნის თევზი, ოდგორუ თითქმის ყველა ჩვენ სამშობლოს მდინარეებისა, ძალიან გემ-  
რიელია. თევზის იქრენ ბადეებით, ხან აკეთებენ ოჩებს, უფ-  
რო ხშირად სწყვერენ მდინარე ქსნის პატარ-პატარა ტოტებს,  
და დროებით იმოდენა თევზი მოჰყვება ხოლმე, რომ პატარა  
ბავშვებიც ადვილად იქრენ ხელაობით მაშინ მდინარეზე  
არის კიერი და ყვირილი: დასდევენ ხელიდან გასხლტომილ  
თევზის, იქრენ და პყრიან პატარა მოსაკიდ გოდრებში.

ქსანში რამდენიმე ჯიშის თევზი ბულობს; მაღლა მთებში  
არის მრავალი კალმახი, რაღვანაც ამ თევზის უყვარს სიგრი-  
ლე, და მთაში წყალი მთელი წლის განმავლობაში შესამჩნე-  
ვად ციცია. ქსანში ხშირად ხედება ფიჩულა, ციმორი და  
მურწა; მხოლოდ იშვიათად: ღოტა, ნაფოტა და ფშატალა,  
ანუ ლაფში ტოპია. მოხვდება ხოლმე ათასში ერთხელ ორა-  
გულიც.

მდინარე ქსანი ჯერ მორბის მაღალ, თოვლით და ყინუ-  
ლით შემოსილ მთებს შორის; შემდეგ თოვლი და ყინული  
ჰქონება, და აჩებიან მხოლოდ კლოვანი მთის ფერდობები.  
მერე ეს ფერდობები იმოსებიან მშეენიერი ტყით, რომელ-  
შიაც მოიპოვება თითქმის ყველა ჯიშის ხე და მასთან უზარ-  
მაზარი. ამ ხეობის მცხოვრებნი იტყვიან ხოლმე, ზოგს ისეთ  
ვეებერთელა ხეს შეხვდება კაცი, რომ იმისაგან მთელი სახლი-  
სათვის ხაჭირო ხის მასალა გამოიკრებათ. დასხასჩულ ქსანი  
მიიკლაქნება ველად. ამ ველს ეძახიან მუხრანის ველს; მას  
გულის დამტკბობელი ჯეჯილი და მრავალ უვაეილ ნარევი,



თვალისათვის სასიამო ბალანი ამშენებს, რომლებიც დაუკავშირდება ქანი არ იშერებს თვის ცოც და ანკარა ნოკიტ წყალს.

ბევრ აღვილას მდინარე ქანის ნაპირები წარმოადგენენ ატეხილ ჭიათუ, ზოგან ვაჟალს, სადაც ცხოვრობენ მრავალი ფრინველები, რომელიც ბანს იძლევენ ტალღათა კისკის.

მთაში ქანს უკირავს ვიწრო აღგილი: მთების შუა ვიწრო ხეობაში; ამიტომ აქ, თითქოს მთების და შეწუხებული, დამზგავს ებია ცოფიან ნადირს და თეთრი ქაფის ფაფარი მოუგდია ზევით. ბარად რა კი ჩამოუნადირია, ველზე ფართოდ გაუშლია თვისი კალაპოტი და არც ისე ლელაქს და შეოთავს, როგორც მთაში.

მორბის მდინარე ქანი, მოუთამაშებს თვის კიდეზე და ნაპირზე მდგომ მცენარეთა და სოფლებს და მოუთხრობს დაუსარულებელ ამბავს წარსულისას, მასზე, რაც თვით უნახავს და თვითვე გაუგონია; ნახეით და გაგონებით კი ბევრის მომსწრეა ქს მთების ცელქი შეიღი. მას უნახავს, როგორ მოიტაცეს 1724 წელს ჩეენი ძევლი ცნობრლი მწერილი დავით გურამიშვილი ლეკებში და წაიკვანეს დალესტანში, საიდანაც ის გაიპარა რუსეთში. იმ დროს რასეთში იმყოფებოდა მეცე ვახტანგ VI, რომელმაც გურამიშვილს გაუჩინა სამსახური. ამის შესახებ თვით პოეტს აქვს დაწერილი მუცენიერი ენით აეტობიოგრაფიული ლექსები, რომლებიც იწყებიან შემდეგი სტრიქონებით:

„მო, ყური მიგდე, მოგითხრობ  
ტყვედ ჩემსა წაყვანისასა:  
ქვეყნის წახდენის მისწერით  
ვსცხოვრობდი სხვის ქვეყანასა,  
სადაც უბმობენ სახელიდ  
ქსნის ხევზე ლაშისყანასა“ - ა.

ქანს უნახავს, როგორ ებრძოდა სახელოვანი გმირთა-გმირი გიორგი საკაძე საქართველოში შემოსეულ მტერს მის

კიდევებზე, რათა გიმული ეხსნა მათ ბატონობისაგან უფრო წილია ვარ.

და კიდევ ვინ მოსთვლის, რას არ მოსწრებია ეს მდინარე!

ის მთის მწვერფალნი და ფერდობნი, რომელნიც დასკერიან ქანის ტალღების ჩქარ სრბოლის, დაგვირგვინებულნი არიან მრავალ უძრავ კლდოვან ციხეებით და ცაში ამაყად აყულდებულ კოშკებით, კოხტად ნაშენ საყდრებით და ლიდებულ ხელოვნების ტაძრებით, წმინდათა სახელობის ეკლესიებით და ხატის გზის მაჩვენებელ ნიშებით. ყველა ამ შენობათ დიდი ღვაწლი მიუძლვით ჩვენ წინაპირთა წინაშე და თითქმის ყველა ციხეზე, საყდარზე და კოშკზე არის ხალხში დარჩენილი თქმულება, ბევრჯელ ზღაპრული, რომელთაც სარჩელად უდევს სინამდვილე, დროს ვითარებისგან შეცვლილ-გადასხვაცერებული.

ერთ მაგარ ციხეზე, რომელიც ჯერაც მტკიცედ სდგას და ამაყად დაცულებს თვის გარემოს, ხალხი იძახის, რომ ქსნიდან იქ ძველია წყალი იყო გაყვანილით. როცა ერთხელ საქართველოს მტერი შემოესია, ქსნის ხევის ზოგმა სოფელშა ამ ციხეს მიაშურა და სურსათიც მრავალი შეზიდა შიგაოა: ასე რომ არც პური აკლდათ და არც წყალი. მტერმა თუმცა იერიში მიიტანა ციხეზე, მაგრამ ვერაფერი დააკლო, რადგანაც ბუნებით მაგარ სიმაგრეს გულ-გაუტეხელნი ქართველნი იცავდნენ. მაშინ მტერმა გადასწყვიტა ციხისათვის ალყა შემოერტყა და სიმშილ-წყურვილით იძულებულ ეყო დამორჩილებას. ამრიგად ერთი თვე გავიდა. მტერს იმდი ჰქონდა: ახლა პური თუ არა, წყალი უექველად შემოელეოდათ, და მალე ციხის კარს გაგვიღებენ და შეწყალებას ითხოვენ ჩვენგანთ; მაგრამ დახე მათ გაკვირვებას, როცა ქართველებმა დაანახეს ციხიდან ცოტხალი თევზები და რამდენიმე თევზი გასაბრაზებლად თავზე გადმოაყარეს; მტერი მიხედა მაშინ, რომ წყალი ჰქონდათ სიღუმლოდ გაყვანილი, დაუ-

წყო მიღებს ძებნა, შეგრამ ამაოდ. ასე ნაჯობნი მუქურაზუმუკა  
ლებული იყო ციხისათვის ალყა მოეხსნა.

მდინარე ქანჩე, თუმცა ამ წყალს ოთხმოც ვერსამდე  
აქვს სივრცე, არც ერთი ხიდი მკვიდროთათვის არ არის გაკე-  
თებული, მიუხედავად იმისა, რომ ხიდი ბევრგან ფრიად დიდ  
საჭიროებას შეადგენს.

გაზაფხულზე, როდესაც მთაში თოვლი და ყინული ლნე-  
ბა, და ხშირად წვიმაც მოდის, ქანი დიდდება და ერთი ხუ-  
თად იზრდება, მოშეუის, ჰელეჯივს არე-მარეს და დიდი ხმა-  
ურობით, ეით მტერზე გამარჯვებული ლაშქარი, მოექანება;  
მას ამ დროს მოაქვს ქვა, ხე-ტყე, ბუჩქები, ძირიანად ამო-  
გლეჯილი, ერთი სიტყვით—ყველაფერი, რასაც მისწვდება და  
მოხდება მისი ძლევამოსილი მღვრივ ტალღა.

მდინარის ორივე ნაპირზე მდებარეობენ ქსნის ხეველების  
სახნავი მიწები და ვენახები, და, როცა იგი მოვარდება, უიპვე-  
ლად რამდენიმე დღიურ სახნავ მიწას მოვლეჯს, გავსებს რაყით  
და გზად გიხდის; ქსნის ბევრი ვენახები ვაუოხრებია, ბევრი  
წისქვილი დაუნგრევია და უფრო ბევრი მოსავლიანი სახნავი  
მიწა გიუსია ქვით და ქვიშით.

ქსნის ხეობაზე თი თას სულზე შეტი მცხოვრებია, და  
ისე როგორ იქნება, რომ დღეში ასზე შეტ კასა არ დასჭირ-  
დეს მეორე ნაპირს გასკლა; ამიტომაც ბევრი ხიფათში ვარ-  
დება; უხიდობის გამო ისინი იძულებულნი არიან თავი ანდონ  
აზლვავებულ და გაშმაგებულ ქსნის, და უკანასკნელიც ძეირად  
უსვემს თავხედობას მრავალ მათგანს, კინც მოისურებს მის  
გადალიახვას. ისე წყალდიდობა არ იქნება, რომ რამდენიმე  
ადამიანი არ დააღრმოს. საქონელიც ბევრი უმსხვერპლია მას:  
კამერი, ხარი, ცხენი, ცხვარი. ბევრისთვის საესე ურემი, სარ-  
ჩო-საბადებელით ან ნაამავარ ფულით ნავაჭრ ნიკო და  
ტვირთული, გადაუბრუნებია, მოუტაცნია და პატრონი მწა-  
რედ უტირებია.

სამაგიეროდ ზაფხულში, გვალვის დროს ისე ძალიან ჩა-



მოშრება ხოლმე, რომ პატარი გოგო-ბიქებიც კი მოწვევირდეთა  
და უშიშრად დატოპავენ შეგ და ჰყუმპალიობენ. შეადისას,  
როცა სიცხე უმაღლეს წერტილამდე აღწევს და შეხუთული  
ჰაერი თონავადაც არ იძვრის, პატარა მებრეები და მწყემსები  
ჰყრიან ქსანში საქონელს და თეითონაც ფიცილ-ხიცილით  
ჩაჰყებიან ხოლმე თან ზაფხულის სულის შემხუთველ სიცხი-  
საგან გახურებულ სხეულის გასაგრილებლად და თვეისუფლად  
სულის მოსაბრუნებლად.

მაშინ გლეხები ქსანშე აკეთებენ ქვა-ზიღს, ან სქრიან  
ტყეში გრძელ ლატანს, აქა-იქ შეჰკორტნიან, რომ კაცმა  
ცეხი მოიკიდოს, გადასლებენ მდინარის ერთი ნაპირიდან მეო-  
რეზე და ისე მარდად გადადიან ამ ვიწრო ხიდზე, რომ ჯო-  
ხის მიშველებაც არა სკირდებათ; მაგრამ თუ უკრა იწყიმა,  
მდინარე ქსანი კვლიყ მატულობს და ხიღს იტაცებს; გლეხებს  
ისევ სკირდებათ თხოლი ხის გადება და ხე ეწვალებიან ქსნის—  
ხეველები ყოველი წყალდილობის შემდეგ.

თიბათების ნიხევარში ქსანი იმღვრევა, უოტა მოწითალო  
ცერი დაპრავს და ვინც არ იცის ნიმდევილი იშის მიზეზი,  
აშბობს: ქსნის სითავეში ერთ მთაზე ორი მდევი სცხოვ-  
რობსო, ისინი ერთურთის დიდი ხის მტერნი არიან; წელი-  
წალში ერთხელ, ზაფხულობით შეხვდებიან ერთმანეთს და  
ებრძევიან; არის დიდი შეჯახება და სისხლის ღვრა; ეს სისხ-  
ლია, ქსანს ფერს რომ უცვლის და ამღვრევსო.

ნამდევილი მიზეზი, რალა თჭმა უნდა, სულ სხვა არის: ის  
ტბა, საიდანაც გამოშდინარებს მდ. ქსანი, შემოდგომაზე იყი-  
ინება, ყინულს ზეეიდან ედება დიდი თოვლი ზამთრობით,  
შემოდგომიბით და გაზაფხულობით. რადგანაც ამ დროს, ბა-  
რად რომ წეიმს,—მთაში თოვლი მოდის. ზაფხულობით, რო-  
ცა მთაში ჰაერი თბება, ამ ტბის ყინულის სარქველს ულხვე-  
ბა ნაპირები და თოვლით დამძიმებული ყინული ეშვება წყალ-  
ში; მაშინ ტბის სიერცე ვეღარ იტევს ყინულით გადიდებულ  
წყალს, იმღვრევა და ჩიმორბის მთის მოწითალო ფერის ფერ-  
ლობზე, უერთდება ქსანს და უცვლის ფერს.

მდინარე ქსნის სათავეში ბევრი ტბებია; სხვაგან ჭავას  
შესანიშნევია ტბა-წითელი; იგი მოქცეულია ოდესალაც მოქა-  
შედ ციცხლის მფრჩვეველ მთის კრატერში; ამ მთასაც სახე-  
ლად ჰქვია მთა-წითელი, თვის წითელი ფერის გამო. მის  
წვერზე არის აშენებული ამ ხეობაზე განთქმულ ხატის—წი-  
თელ-ხატის—ეკლესია. ქსნის-ხეობელთ სწამთ, რომ ამ ხატ-  
თან ახლო მისელი შეუძლებელია: ხატი შეტისხავს და გააშე-  
შებსო, და მრავალი სულის ცხვრის პატრონშა, რომელიც  
მთა-წითელის ფერდობზე აძლევბს თავის ფარას, თუ რომელ-  
სამე დღეს ხატის სახელობაზე ცხვარი არ დაჰკლი, იმ ღამეს  
იმისთანა ურჩი მწყემსის ფარის დიდი ზარალი მოელისო.

მდინარე ქსნის ორსავე ნაპირზე ბევრი სოფელი მდება-  
რეობს, რომელთა შორისაც ზოგი კარგი მოზრდილია და ზო-  
გი ძალიან პატარა; ამ ხეობის სოფლებს მდებარეობა ლამიზი  
აქვთ; ბევრი სოფელია ირგვლივ ბალ-ვენახებით შემოზღუ-  
დულ-შემოფარგლული. სოფლებს შორის შესანიშნავი არიან  
თვის სიღილით შემდეგნი: მონასტერი, ქურთა, რომელიც  
მდებარეობს ვ570 ინგლისურ ფუტის სიმაღლეზე შეის ზღვის  
დონეზე; ეს სოფელი არის საზღვარი ვენახისა; მის ზევით  
სიკიფის გამო გაზი იანართ ხარობს; ახალგორი, საღაც ვაჭ-  
რობს ამ ხეობის მოსახლეობა: ყიდულობს საჭირო საგნებს,  
წყრილმანს და ჰყიდის თვის ნაწარმოებს: მატყლსა, ყველსა,  
ერბოსა და სხვა. აქვე ძველი ციხე: ოძისი—სამშობლო ჩვე-  
ნი ცნობილი დრამატურგისა—დავ. ერისთავის, და თვით დრა-  
მაც „სამშობლო“ იმავე სოფელშია დაწერილი; ლამისყანა,  
ქსოვრისი და თეზი, ცნობილი თავის კარგი თვისების ღვი-  
ნით.

o. ზეციშვილი





# სამკურნალო ხელოვნება და სახელგანთქმული მკურნალები

(წერილი მეოთხე. დასასრული)

ლუი პასტერმა აღმოაჩინა ძალის ცოფის წამალი

**P**ენ ძველ ექიმებს და ლოსტაქრებს საკმაო ცოდნა ჰქონიათ ავტოტეკ საბეითალო (საპირუტყვო) მკურნალობაზე. მათ თავიანთ დროის კვალობაზე პირუტყვთა სატრიურების შესახებ ბევრი რამ წამლობა იყოდნენ: ცხერის, ძროხის, ხარის, კაშჩის, ცხენის, ვირის, ჯორის, თხის და ასეთ საქონლის ცხოვრების, სიცოცხლის და ავადმყოფობის შესახებ სრული შესაფერი წარმოდგენა ჰქონიათ. ქართულ საბეითალო მკურნალობას რომ დაფაკირდეთ, თითქმის ივივე გამოდა, რაც კაცისა, მხოლოდ წამლების ზომაშია განსხვავება, საქონელს მეტი ზომის წამილს ასმევდნენ, ინუ უსვეამდნენ. უწინ საქართველოში ისე იყო განვითარებული საბეითალო მკურნალობა, რომ იშვიათად საღმე პირუტყვი მოკვდებოდა სენისაგან. სამწუხაროდ ეს მშვენიერი და ფარსავი ხელოვნება ხალხში მარტო ზეპირად იყო დარჩენილი, მწერლობით მასზე ირა ყოფილა რა, შემდეგ კი შეუდჩნიათ სხვა-და-სხვა წიგნის კები.

ქართველ მეფებს თავიანთ გვერდით ახლდნენ მუზეოგრაფები სასახლის ექიმი და დოსტაქარნი, ისევე ბეითალნი, რომელიც საქონლის მკურნალობის გარეშე შეგირდებსაც იყვანდნენ და საბეითლო მკურნალობას ასწავლიდნენ. ყველა ეს იყო მიზეზი, რომ უწინ საქართველოში საქონლის პირი ერთობ იშვიათად იკოდა, ძნელად რომ იგი გაჩენილიყო სადმე საქართველოში, და თუ განძღვოდა, იმის ხელად სპობლნენ, თუმცა საქონელს მრავლად ინახვდნენ მთელს საქართველოში. მეტადრე დიდად განვითარდა და გავრცელდა სამკურნალო ხელოვნება დავით აღმაშენებლის და მის მემკვიდრეების დროს, რომა საქართველოში საზოგადოდ აღორძინდა ყოველი დარგი ერის კულტურული ცხოვრება-მოღვაწეობისა და, როგორც ამბობენ, თეით დავით აღმაშენებელი ფრიად დახელოვნებული ყოფილა მკურნალობაში. საზოგადოთ კი უნდა ესთქვათ, რომ მკურნალობის შესწავლა უწინდელ საქართველოში ითვლებოდა ისეთსავე სავალდებულო სასწავლო საგნად ყოველი განათლებული და ნასწავლი კაცისათვის, როგორც წერა-კითხვა, ლეთის-მეტყველება, ფილოსოფია და სხვა, რის გამოც მაშინ ფრიად ბევრიც იყო ამ მეტნიერების და ხელოვნების მცოდნე. ქართულ ენაზე არსებობს მეათე საუკუნის ერთი კრებული, სახელწოდებით „შატბერდის კრებული“. შატბერდი იყო განთქმული მონასტერები ქორხოსის ხეობაში და რადგანიც ეს წიგნი ამ მონასტერში დაუწერიათ, ამიტომ სახელიც „შატბერდის კრებული“ უწოდებიათ. ამ კრებულში სხვათა შორის შეტანილია ბევრი საგულისხმო ცნობა ანატომიდან, ბოტანიკიდან, ფიზიოლოგიდან, მინერალოგიდან და სხვა. ეს ცოტაა: დავით აღმაშენებელი მარტო ცოდნით არ კმაყოფილდებოდა და თეით სამკურნალო სახლებიც დაარსა, რომელთ მოვლასა და შენახვას თვითვე ფრიად დიდს ყურადღებას აქცივდა. აი სხვათა შორის რა სწერია ამის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“.

„და კვალად სხვა მოიოგნა საქმე, შემსგავსებული და მა-  
წყალისა და ტყბილისა ღვთისა სახიერისა კით-მოყვარისა  
მისისა, აღაშენა ქსენონი (სამკურნალო სახლი, საცვალმყო-  
ფო) აღვილსა შემსგავსებულსა და მშეენიერსა, რომელსა ში-  
ნა შეკრიბნა ძმანი თვითო სახითა სენითა განცდილნი, გა-  
მოამზადა ყოველივე სახშირო მათი უნიკლულოდ და უხვებით  
და გაუჩინა შესავალნი და საღვაწნი მათნი ყოფლადვე, ხო-  
ლო თვით მივიდეს, მოიხილნის, მოიკითხნის და ამბორს უყვ-  
ნის თვითოეულსა, ფუფუნებდის მამებრ, სწყალობდის და და-  
ნატრიდის, განამხნევებდის ის მათ მონებისა მიმართ, მონახის  
თვისითა ხელითა ცხელრები (საწოლი ტახტები), სამოსელი  
და საგები მათი, პინაკი (კურკელი) და ყოველივე სახმარი  
მათი, მისცის თვითოეულსა ოქრო კრისაყოფნი და განაკრძა-  
ლნის ზედამდგომელნი მათნი, განავის ყოველივე საქმე მა-  
თი დიდად მშეენივრად და ღვთის მსახურებითა“...

დიდ წარმატებაში შევიდა მკურნალობა თამარ შეფის  
დროსაც. სიმცირე და სისუსტე ძევლი კარაბადინებისა საქ-  
მაოდ იქმნა შენიშნული და ამიტომ შეადგინეს და გამოუშ-  
ვეს ერთი პატარა და ერთიც დიდი კარაბადინები, რომებ-  
მაც ჩვენ დრომდინაც მოაღწია. სათაური პატარა კარაბადი-  
ნისა იწყება ასე: „კარაბადინი, მართალი და კეშმარიტი,  
თორმეტ ექიმთაგან გამოცემული თამარ შეფის დროს“.

მოაღწია ჩვენ დრომდე აგრეთვე ერთმა ურცელმა კარა-  
ბადინმა, რომელიც უთარგმნია არაბულიდან ვინმე ხოჯად  
ყოფილს თამარ შეფის დროსვე. იგი შესანიშნავი შრომაა და  
სათაური მისი ასე იწყება:

„ესე წიგნი საექიმო, ოდეს ნუქარდინ სულთანი კარნუ  
ქალაქისა კართა ზედა გააქციეს, მუნით ალაფად (დავლად)  
მოიღეს იგით. მისმა მწიგნობართ-უხუცესმან და ვეზირთა ყო-  
ველთა უპირველესმან, კაცმან გონება-მოსაემან და სალმრთო-



თა მსჯავრთა მიმართ მსაჯულმან და ხელსამპურობელზე—მარწმუნა თულად მათაჩემნინა მე მიწასა მათსა ხოჯად ყოფილსა“.

ხელნაწერი დაწერილია ხუცურად და თავად გურიელს წერაკითხების საზოგადოებისათვის შეუწირავს. კარნუ ქალაქ-თან ქართველების ბრძოლა ნუქირდინთან მოხდა 1207 წელს, მაშისადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს წიგნიც ამ წლის მახლობელ დროს უნდა გადმოიყენონ ხსენებულს ხოჯად ყოფილსა...

თამარ მეფის შემდეგ, 1350 წლებში, სამკურნალო ასპარეზე გამოდის ბატონიშვილი ბაგრატ, რომელიც შემდეგ გახდა სრულიად საქართველოს მეფელაც (1360—1395 წ.წ.) მან ისეთი ჩინებული კარაბადინი შეადგინა, რომ სულ მცირე ხანში დიდად გავრცელდა მთელს საქართველოში და ჩევნამცირიც მოაღწია. კაცთა მკურნალობის გარდა, ბაგრატმა პირუტყვთ მკურნალობაც კარგად იცოდა და უფრო კი ჯარა-ექიმობა (დაქრილთა, ნაღრძობთა და მისთანათა მკურნალობადა). ბაგრატ მეფეს ბევრი მიმბაძველი ჰყავდა მკურნალობაში. მათ შორის ოლიანიშნია ეიშე როსტომ ექიმი, ფრიად გამო-ცდილი და განსწავლული უცხო ენებში და მკურნალობა-შიაც. როსტომ ექიმმა ისეთ სისრულემდის მიაღწია მკურნალობაში, რომ მთელი მეთოთხმეტე საუკუნის შემდეგაც მის სახელს ქართველები ისე იხსენიებდნენ, როგორც ჯანაოზ ექიმისას (ჯანაოზ ექიმად ქართველებში ცნობილია ჰალენი ექიმი, რომელზედაც ჩევნ „ნაკადულის“ მეორე წიგნში ვი-ლაპარაკეთ). როსტომ ექიმს მე-XV საუკუნეში მოსდევს გრი-გოლ ექიმი იმერეთს, კაცი იგრეოვე ფრიად განსწავლული აღმოსავლეთის ხალხთა ენებში. მან შეადგინა კარაბადინი, რომელშიაც სხვათა შორის ოშობს შემდეგ შესანიშნავ სიტ-ჟეებს:

„ექიმობა ორი არი, ერთი—მეცნიერება, და მეორე—მეცნიერების მოხმარებათ“...

რაღვანაც მე-XIV—XVI საუკუნეებში ბარის კამპანიაზე ლებს დიდი თავსატეხი ბრძოლისა და ტუდათ თავსა, აუმრავ მტერთა თავდასხმის გამო, რომლისგანაც ფრიად დიდმალი ხალხი სწუდებოდა ომებში და მათ შორის მკურნალებიც, ამიტომ ბარში მკურნალის მაგიერში სამკურნალო ცოდნამ ფეხი მოიკიდა მთაში და საზოგადოდ საქართველოს განაპირა აღილებში—თუშეთში, ფშავეში, ხევსურეთში, ხამ-გრელო-აფხაზეთში და გურიაში. ბევრ სატყიყრებზე მათ სწორი შეხედულობა შეადგინეს, რაშიაც მათ ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ მთაში უფრო ადვილი იყო შოვნა წამლების შესამზადებლიად საჭირო ბალახებისა, ყვავილებისა, მწერებისა, ნალირთ ქონისა და ლითონებისა, ვიდრე ბარში, ხადაც ხშირად ზოგი წამლისათვის ბალახებს ვერც კი შოულობდნენ. ასევე დიდი წარმატება ვამოიჩინეს მთიულებმა ჯარა-ექიმობაში და ბეითლობაში. დოქტორ ბ. ს. ვაწიძის სიტყვით, ამ უკანასკნელ წლებში, ფშავ-ხევსურებში ყოფილა ერთი ექიმობის მცოდნე ხევსური, რომელიც ძვლის მჭამელს ენით სწუწნილი და ისე აჩჩენდა ავალმყოფებსათ. ერთი ასეთი ავალმყოფი გენერლისათვის ჩვენ ფეხი უნდა მოვცეკრა, რაღვანაც მისი მოჩჩენისათვის ვერაფერი მოვახერხეთო და ამ უბრალო ხევსურმა კი მოაჩინოთ...

კახეთის მეფის, ოლექსანდრე მეორის დროს (1574—1605 წ. წ.), მის კარზე სცხოვრობდა ფრიად განთქმული ექიმი ანტონი. იგი ისეთი სახელოვანი და შემძლებელი ყოფილა, რომ თვით შეფის კარის ახლოს ჰქონია საექიმო სკოლა, რომელშიაც სწავლობდნენ კახელნი. ამ ანტონ ექიმს შეუდგენია კარაბადინი, რომელსაც ჩვენ დრომდინაც მოულწევია. 1878 წელს ეს წიგნი უნახავს ზაქარია ჭიკინიძეს შეამთის მონასტრის (თელავიდან რვა ვერსზეა, მშვენიერ აღილს) ბერთან და სათაურად სწერებია:

„კარაბაღინი მართალი და კეშმარიტი სხვათა ძელულობებისა  
რამაც გადადინებილი ზედ დამატებით გადმოწერილი და შევსებუ-  
ლი კახეთის მეფის ალექსანდრეს კარის ექიმის ანტონისა-  
ვან“.

იქვე წიგნის ბოლოში წერებულა:

„ამ კარაბაღინის გაკეთება ჩე მებრძანა კახეთის მეფის  
ალექსანდრეს მკურნალს და მათისა კარის მონასა ანტონ  
ექიმს, რასაც ხელ ვჰყავ და შევაღვინე. ვინც ეს მარგებელი  
კარაბაღინი ნახოთ, წიიქითხოთ, გადასწეროთ და ირგოთ,  
მისთვის ამალებულ მეფის ძლიერებისა და დღეგრძელობი-  
სათვის ილოცეთ და მე შენდობა შემომითვალეთო“.

შემდეგ მიწერილი პქნია:

„გადიოწერა ესე შართალი და კეშმარიტი კარაბაღინი  
კახეთს, შუამთის მონასტერს, ხელითა ულირსის ლუკასით  
მწიგნობრით 1753 წელს“.

ამავე დროს იმერეთში გამოჩნდნენ თურქმანიძიანთ გვა-  
რის წევრთა დოსტაქები, რომლებმაც დიდად განითქვეს სა-  
ხელი ჯარა-ექიმობის მკურნალობაში. ქართლში სახელოვ-  
ნებდა მკურნალი გრიგოლი, რომელიც სხვა-და-სხვა კარაბა-  
ღინების შესწავლით საუკეთესო ექიმიდ გამხდარა. თბილის-  
ში მას ხშირი მისცვა-მოსცვა პქნიდა ქართველ მეცნებთან  
და კათოლიკე მღვდლებთან—პატრიებთან. ამ უკანასკნელებს  
ზედ-მიწევნით პქნიდათ ხამშობლობი შესწავლილი ევრო-  
პიული მკურნალობა და თავისი ცოდნით და მკურნალობით  
დიდათაც ეხმარებოდნენ ხალხს, რის გამოც დიდი პატივი  
პქნიდათ მათლამი თვით შეფეხბსა და ქართველ დიდებულებ-  
სა. ესენი იყვნენ მიზეზი, რომ ქართულმა მკურნალობამ ნელ-  
ნელა თავი დაალწია სპარსეთისა და საზოგადოდ აღმოსავლე-  
ტის მკურნალობის გავლენის და ხარბად დაეწაფა ევროპიულ  
მკურნალობის სალიაროსთ...

1528—1585 წლებში ცხოვრობდა და მოქმედდებოდა განთხოვანი მომავალი დაუთხანი, ანუ, როგორც მას სპარსელები ეძანდნენ, დაუთხანი, მაგ ქართლის მეფის ლურსაბისა. დაუთხანი მომეტებულ დროს სპარსეთის სცხოვრობდა, სპარსეთის მეფის კარზე, მიიღო მამადიანობა და სპარსული ენაც მშენებიად შეისწავლა. იქ მან გაიცნო მრავალი სამკურნალო წიგნი და ბოლოს შეუდგა არაბეთის მკურნალის ზირიე-ზიდეს დიდი კარაბალინის თარგმნას სპარსულიდან ქართულ ენაზე. ხო-ჯად ყოფილის დიდი კარაბალინის შემდეგ ქართულ ენაზე არ დაწერილი ასეთი დიდი კარაბალინი. შეიცვეს 400 გვერდზე მეტი მოთელის თაბახისას. როცა თარგმნა დაუსრულებია, დაუთხანს იგი საქართველოში გამოუვზავნია და თან მოუწერია: „იხმარეთ ეს წიგნი და ირგვლივ მით, ვინც ირგოთ, მე ცოდეთ დაუთხანს შენდობა მიბრძანეთო“. ქართველებს ძლიერ მოსწონებიათ იგი და დაუყოვნებლივ შესდგომიან მის მრავლად გადაწერას და ხალხში გაერცელებას.

წინასიტყვითაბაში დაუთხანი სხვათი შორის სწერს:

„ვინც წიაკითხოს ჩვენი თარგმანი, ამის სამაგიეროდ ჩვენ შენდობა გვიბრძანოს... ვინცა ამა წიგნითა და წიმლებითა მორჩეს, მე ცოდეთ და ულიკისა დაუთხანს შენდობა მიბრძანეთო, ლმერთმა თქვენც შეგინდოთ, ამ უხანოსა სოფელსა უჭირეველობით გამყოფოთ და გადლეგრძელოთ და შეგარეოსთ და თქვენზე ალალიდ ჰქმნას კირნახული ჩემიო“.

დაუთხანის შემდეგ ქართლში გაუთქვაშს სახელი პავლე ეჭიმს და თადერთ გორელს, კახეთში—ზურაბ ეჭიმს, რომელსაც შეგირდებიც პყოლია და ბევრი ჯარა-ეჭიმი გამოუზრდია, ხოლო სამეგრელოში—თვით მთვარი მისი ლევან დადიანი, რომელიც გარდა იმისა, რომ ბრძენი გამგებელი ყოფილა თავის ქვეყნისა, მისთან ეჭიმობაც შეუსწავლია, ხალხს ჰკურნივდა და წიმლებსაც თითონ უკეთებდა ავადმყოფებს.



1918 წლის მარტი

აღსანიშნია იგრეთვე, რომ ქართველებში განვითარებულია იყო და ძლიერაც განვითარდა შერჩეული საჭმელების მომზადებით ავადმყოფების მორჩენა. ეს იყო ნამდვილი, ქართული დამოუკიდებელი აზროვნების მიმართულება შეკურნალობაში და უნდა ცისთვეათ, რომ ბრწყინვალეთაც შეასრულეს ეს ქართველმა შეკურნალებმა. საჭმელებს ხარშედნენ უმეტესად ბალაზებისგან და ავადმყოფებს პურით იჭმევდნენ ლობიოს შეკამანდივით. ასეთები იყო: ლოლო შეკამანდი, შეინდის, ალუბლის, კინკრის მხალის, სკინტრის, სატაცურის და ბეჭერიც სხვა ბალაზებულობის, ენით მოუფვლელნი. არ მოძებნებოდა არც ერთი ხილი, არც ერთი ხეხილის ფოთოლი, რომ მის შეკამანდი არ გაეკეთებინოთ. მაგალითად, ისკრიმის შეკამანდი და ვაზის ფოთლისა, იცოდნენ იგრეთვე ლვინებულობის შეკამანდები და ფეხილებულობისა — ხინკალი, ხავიწი, შორვა და სხვა. ასე ოსტატურად შერჩეულ საჭმელს ავადმყოფნიც იდეილად ეწყობოდნენ და მალე რჩებოდნენ. ასეთ სამკურნალო საჭმელთა შესახებ იდრე ქართულ ენაზე წიგნებიც ყოფილა დაწერილი, რომლებსაც ჩვენი დედაკაცები სიფრთხილით ინახავდნენ, მაგრამ შიშიანობას დაკარგელა და მოსპობილა. ასეთ სამკურნალო საჭმელებს უწინდელი ქართველი ექიმები ნადირთა და სპარნლის ხორციანაც აკეთებდნენ და თეით ლვინოდანაც. ლვინოში მოხარულ სხვა-და-სხვა ფოთლებულობასაც აჭმევდნენ ავათმყოფთ პურით, რაც ამათ ძლიერ რგებდათ...

როსტომ მეფის განკარგულებით თბილისში დაარსდა ექიმთა სკოლა, სადაც ქართველთა ძენი ცითარდებოდნენ ექიმბაში. მასწავლებლებიდ იყვნენ ქართველთა და სპარსთა ხელოვანი მკურნალები. როსტომ მეფის სიკვდილის შემდეგ ამ სკოლის საქმეს ლათინთ პატრები და ქართველი ექიმები განაგებდნენ. ამათვე გაბსნეს პირველად ევროპიული წიმალხანა, ანუ როგორც ახლა ეძახიან — აფთიაქი. ესენი მარტო თბილისში მოქმედებით არ დაკამაყოფილდნენ და პატრებმა

მაღლე გორში, ახალციხეში, სამეცნიელოში, გურიიში და ქართველოს სხვა აღგილებული გახსნეს, როგორც სკოლისა, ისე წამალხანის განყოფილებანი.

საქართველოში, გარდა დიდ-დიდი კარაბაღინებისა, პატარ-პატარა კარაბაღინებიც არსებობდა, ხშირად ერთ რომელიმე სატყიერისა ანუ სოსი; მაგალითად იყო სეთი კარაბაღინებიც:

1) კარაბაღინი მაჯის მკურნალობისა.

2) კარაბაღინი ჯარა-ექიმობისა, შედგენილი ლათინური წიგნებიდან 1680 წ.

3) თვალის კარაბაღინი, შედგენილი 1690 წ.

4) კარაბაღინი კაცის სტომაქისა, შედგენილი 1690 წ.

5) ჯორის კარაბაღინი, შედგენილი როსტომ მეფის დროს:

6) კარაბაღინი ყურისა, შედგენილი 1695 წ.

7) კარაბაღინი ცხენისა, კარაბაღინი ქორისა, კარაბა-ღინი ფრინველთა, კარაბაღინი ძალლისა, კარაბაღინი ათაშან-გისა, კარაბაღინი წყალ-მანკისა.

8) კიდევ კარაბაღინი ცხენისა, ვახტანგ მეფისგან სპარ-სულიდან თარგმნილი, რომელშიაც აწერილია 125 ვეადმყო-ფობა ცხენისა და მკურნალობა მათი. მის დროს იყო განთ-ქმული ექიმი ალმასხან გურგენიძე, რომელსაც ისე კარგიც სკოლნი ცოდნისა, ბნელისა და შირიმის მკურნალობა, რომ თანამედროვეთ სასწაულიად მიაჩნდათ.

9) „კარაბაღინი“ ვახუშტი ბატონიშვილისა, დაწერილი 1710 წ.

10) კარაბაღინი შირიმისა. შირიმის ქვით ვეადმყოფობა უწინ ძალიან ყოფილი ქართველებში გავრცელებული, ამას უზომოდ ღვინის სხას აწერენ. ამიტომ ცალკე წიგნი დაუწე-რიათ და კარგათაც აჩქენდენ. ასევე შაკიკის წამლობა იცოდნენ ადგილი და ქვებით წამლობა, მაგალითად: გარ-გალიტით, ტირუზით, ლილით, იაგუნდით, აყიყით და სხვა. ქვების ნალესით წამლობა ძლიერ იყო ქართველებში გავრ-

ცელებული. ასეთი ქვების წამლების მცოდნე ერთხმა და  
კაცი, თავის დროს კვალიად შესანიშნავი მკურნალი, ვარდა-  
ცვალა 1875 წელს თბილისში; ეს იყო ნინოწმინდელი სო-  
ფიო როსტამაშვილი. თავის მკურნალობა მან ბებიასაგან შევ-  
წივლა და ბებიასაც თავის ბებიასაგან. მან მშეენიერად იცო-  
და ხუთოებით (მოწამლულის და მოშხამულის მოსარჩევი  
ქვა) წამლობა(…)

ჩვენი მეფეების დროს ყოველ სოფელს უთუოდ ჰყავდა  
თავისი ფეიქარი, დაღაქი, ბებია და დოსტაქარი—მკურნალი.  
ერთი ექიმი რომ საგარეჯოში იყო, მეორე მარტყოფში იყო,  
შესამე ნიჩბისში, მეოთხე კავთისხევში და ასე მოელი საქარ-  
თველოს სოფლებში. ყველა ასეთი წესი და ექიმები რუსთა  
მოსელის შემდეგ მოისპნენ, ძველ დროს გაჰყვნენ... ქარ-  
თული კარაბაღინები რომ შეიკრიბოს და შევისწავლოთ, მათ-  
ში ბეჭრი სოუცხოო ცნობები აღმოჩნდება მკურნალობის სა-  
სარგებლობად, ბეჭრ სატკივარს და სენს აღმოუჩნდება თავისი  
უებარი წამალი. ჩვენი კარაბაღინების შესწავლა და გაცნობა  
იქნება არა მარტო ქართველთა სამსახური, არამედ საზოგა-  
დოთ კაცობრიული, მეცნიერული...

თამამად შეგვიძლიან ესთქვათ, რომ სამკურნალო ხელოვ-  
ნება უწინდელს საქართველოში ნამდვილი დემოკრატიული,  
ხალხური იყო და მხოლოდ რუსთა შემოსვლის შემდეგ სას-  
ტიკად დაეცა იგი... სადღა დღეს ისე უხევდ საექიმო წიგნე-  
ბის გამოცემა, როგორც ეს უწინ იყო?!)..\*)

ავ. როსტომაშვალი.

ამ ასეთ მოვალეობას ასეთ ადგინენ მარტო სამკურნალო ხელოვნებას უწინდელს საქართველოში ნამდვილი დემოკრატიული, ხალხური იყო და მხოლოდ რუსთა შემოსვლის შემდეგ სასტიკად დაეცა იგი... სადღა დღეს ისე უხევდ საექიმო წიგნების გამოცემა, როგორც ეს უწინ იყო?!)..\*)

\* ) საქართველოს მკურნალობის შესახებ ცნობები მე ამოვიდე პა-  
რავებულ ზ. ჭიჭინაძის ოთხას-გვერდიან ხელნაწერიდან, რისთვისაც დიდ  
მაღლობის ცწირავ აეტორს, უზიგა არ იქნებოდა, რომ ვისმე დახმარება  
მიეცა ჭიჭინაძისათვის ამ შროშის სრულად გამოცემისათვის.



## ଦୁଃଖାନନ୍ଦି

(ବ୍ୟାକମିତାଧର୍ମିନିଦିଦି ୩. ନାନାରାମଦି-ମିଶ୍ର.)

I

ଶୁଦ୍ଧେଷ-ମିଥିଲ, ଉପାଦଳ-ଜାରୀ  
ପାତ୍ରଙ୍କ ସାବ୍ଦେଲି ନଥମାର୍ଗେ,  
କମ୍ପେଶ କାଳାକୀ ଫାଅର୍ଦ୍ଦେ,  
ମାର୍କତଳା ତୁ ବାର, ପାନିଶାର୍ଗେ.

II

ଦୋଷିତ ବସି ମନ୍ତ୍ରକ୍ଷେପଭୂଲିବ  
ଝରିନ୍ଦ୍ରିୟଙ୍କୁଳି, ଝରିନ୍ଦ୍ରିୟକୁଳି ମର୍ତ୍ତାପ୍ରେବେଲିବ,  
ନରଜ୍ଯେଷ ଫାଅର୍ଦ୍ଦେଶ କାଳାକୀଶ,  
ଏହି କିମ୍ବନ ବେଦିନ ବେଦିନ କ୍ଷେତ୍ରିଶ,  
ଦା ମିଳ ବାନ୍ଦେଲ ଶ୍ରୀ ନାନାରାମ  
ଚନ୍ଦମିଳି—ବସନ୍ତ ନାକ୍ଷେତ୍ରାଳ୍ୟିଶ,  
ମାତ୍ରିନ ମନ୍ତ୍ରଙ୍କିଳି ଶିର୍ତ୍ତପ୍ରାଣ ଘେରୁପ୍ରାଣ  
ଲାଗି ଦା ଶମିଳ ବାନ୍ଦେଲାଳ୍ୟିଶ.

III

ଶିର୍ତ୍ତପ୍ରାଣ କିନିବ ନାନାରାମ—  
ପାତ୍ରଙ୍କ କିମ୍ବନ କିମ୍ବନ କିମ୍ବନ  
ପାତ୍ରଙ୍କ କିମ୍ବନ କିମ୍ବନ କିମ୍ବନ

მითი წყალი იქით გაძყავთ,  
სადაც ის საჭირო არის.  
ნახევარიც დაბას ჰქვია,  
საქართველოს წრეში არის;  
მთელი სიტყვა სათვალიად  
დიდი და ბევრი რომ არის.


## რ ე ბ უ ს ი

3,

იქსოს  
დაბადების  
დღესასწა-  
რლი.



„



მ.



გ

ასთ  
წილიკო-  
ხეთ უკუ-  
ლმა.

6

პირველი  
კალის  
სახელი.

მაწვნის გად-  
ლების შემდეგ  
რა რჩება.

მ

ან-ბანის  
შე-ჩ-ხე  
ისა.

ვარის  
სახელი

მ.

მე-4 ქ-ში მოთავსებულ შარადებისა და სამართლის აქსნა.

1) აეტომობილი, 2) კუპი, 3) მამაკო შენოფის მოვა-  
ლები, შენოფის ჩაეიცვალ შეგსაო.

1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საგმაწვილო ქურნალ ირკოტკამი  
გვიაზრის გვიაზრის

# „ნაკადული“<sup>—20</sup>

წელიწადი მეოთხეული

ურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, სავანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

შურალი გამოდის თვეში ორჯერ

**24 წიგნი „ნაკადულისა“ 12 წიგნი „ნაკადულისა“**  
მცირე წლოვანთათვის. მოზრდილთათვის.

ურველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოწენილ მხატვართა ნახატი.

ფასი ურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათ-თვის, ვინც ურნალს რედაქციის მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახვარ წლით—3 მან. გაგზავნით 3 მან. 50 კაპ. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 50 კაპ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მან. 50 კაპ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და იღრესის გამოცელი დროზე შეგვატყობინონ. იღრესის გამოსაცელელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

## ხმლის მოწვერა მიიღობა

ტფილისში—„ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშეილის სახლი გოლოვინის პროს. № 8. რედაქცია „Накадули“, Головинскій пр. № 8. შემოსისელელი დავითის ქუჩიდიან, № 2. და წერი-კითხვის გამივრცელებულ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. ქუთაისში—ისიდორე კვიარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. ფოთში—ლუდმილე მეგრელიშვილთან. ბათომში—ტრაფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, ტ. სამსონ ყაზაიშვილთან უცრავაში. თბილგეთში ტ. ლანჩჩუთში—ლეო იმნაძესთან. თელავში—განო პატაშვილთან. ახალციხეში—ქონსტანტინე გვარდიძესთან. ბაქოში—მარიამ ნაკაშიძესთან. გორგო—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოსურთან. ჭიათურაში—ივ. გომელიშვილთან. ხონში—მ. ი. ჭავჭავაძესთან. მიხალოვეში—გორგი ნაკაშიძესთან. უფრისლაში—ნინო ფერიძესთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე  
გამომცემელი ტ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.